# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 20 ივლისი, 2011 წელი.

№135 (6746)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## მიშა მაგარია!



2

ეჭვი მაქვს, რომ ჩვეულებისამებრ სამგლოვიარო ლენტი სწორედ მან გაჭრა კუბოს საფლავში ჩაშვებისას. ახლა ქელეხშიც ხომ იტყოდა ქართული დემოკრატიის სადიდებელ და კრემლის ხრიკების მამხილებელ მგზნებარე სიტყვას.

როგორ არ მიხაროდეს, როგორ არ ვიყო ამაყი და მადლიერი. „მიშა, მიშა!..“

## რა ახალი თავსატეხი გამოუჩნდა ნატოს?

კიბერშეტევები, ენერგო-საფრთხეები ლიბიაში დაშვებულ შეცდომებთან ერთად... 3



## ნიუტონის მესამე კანონი, რომელიც საქართველოში არ მოქმედებს!!! 3

ეკა ბესელია: **ჩვენებაში არის ბევრი მოგონილი ფაქტი, რომელთა ოფიციალურ გადამოწმებას დავიწყებ** 5

## თბილისის მერია და სატრანსპორტო კომპანია თბილისელებს ატყუებენ




თითქმის ყველა ძველ სამარშრუტო ხაზზე მგზავრობის ღირებულება 80 თეთრი გახდა 4 მძღოლებმა მგზავრობა თვითნებურად გააძვირეს?

## „აფხაზეთი საქართველოსთვის სამუდამოდ დაკარგულია და იგი მას არასოდეს არ დაუბრუნდება“ 7



## ენერგო-უსაფრთხოების მესამე ბურჯი 6



4

## ცაგარეიშვილი და ბაღათურია ოცნებებს ისრულებენ



მიშა მაგარია!

# ვარ ამაყი და მადლიერი!..

**მოგეხსენებათ**, ავსტრია-უნგრეთის უკანასკნელი იმპერატორის კარლ I-ის ვაჟი ოტო ფონ ჰაბსბურგი, აცხონოს ღმერთმა, გვეზარალა ამ დღეებში 99 წლის ასაკში.

ვენამ ზარ-ზეიმით დაკრძალა მხცოვანი პრინცი. მწუხარების მონაწილენი, ვისაც არ ეზარებოდა, განსაკუთრებით ცისფერსისხლიანთა ქვეჯგუფიდან, უხვად ჩავიდნენ.

ტელევიზიით ვუყურებდი მგლოვიარე არისტოკრატთა საერთაშორისო ცოცხალ რიგს და გულნაკლული ვფიქრობდი, მონარქი ან მისი ხილული მემკვიდრე მაინც რომ გვყავდეს, ხომ გამოგვაჩენდა ქართველებს-მეთქი.

ამ გულისწყვეტაში ვარ და უცებ, სად იყო და სად არა, ეს ჩვენი სახეზე უადგილო ღიმილგადაკრული პრეზიდენტი არ გამოგვეცხადა, ხაზგასმულად შავშლაპიან პირველ ლედისთან ერთად. დიახ, არც ამ საქვეყნო ღონისძიებას არ დააკლდა ჩვენი ჰერმესივით ფეხებზე ფრთებგამობმული ლიდერი. თვალი დაუყენა მოშურნეებს, განსაკუთრებით პირსისხლიან რუსეთს. მივიდა და დაამშვენა მთელი ვენა და საჰაბსბურგო. მიშა მაგარია!



ის კი არა, ეჭვი მაქვს, რომ ჩვეულებისამებრ სამგლოვიარო ლენტი სწორედ მან გაჭრა კუბოს საფლავში ჩაშვებისას. ახლა ქელეხშიც ხომ იტყოდა ქართული დემოკრატიის სადიდებელ და კრემლის ხრიკების მამხილებელ მგზნებარე სიტყვას.

როგორ არ მიხაროდეს, როგორ არ ვიყო ამაყი და მადლიერი. „მიშა, მიშა!..“

ჰოდა, ახლა სულ თითებზე ვითვლი, თუკი ვინმე მოფამფალებული სამეფო გვარიშვილი ან ფეხზე ცხვარგამობმული პოლიტიკური მოღვაწე შემორჩა მზისქვეშეთს, ანუ კიდევ რამდენჯერ მოვისმენთ ქართველები სამგლოვიარო წირვას მსოფლიოს დედაქალაქებში. რაც მთავარია, კარგად, ლამაზად წარმოაჩენს ერსა და ქვეყანას ჩვენი მაღალი, ბუდალა პრეზიდენტი. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, ეს სამგლოვიარო-საზეიმო მისია, ვთქვათ ზურაბ ადეიშვილს ან სულაც შალვა რამიშვილს (ოპოზიციიდანაც მოვიაზროთ ვინმე!ძ, რომ ეკისრებოდეს, ხომ მიიღებდა ეს უაღრესად სერიოზულ-მწუხარე რიტუალი ძალად მაცხონე ნანუკას შოუს სახეს?

ასე რომ, ამ მხრივ ყველაფერი წესრიგში გვაქვს, განსაკუთრებით ევროპის მასშტაბით — მიდი შვიდიიი, გინდ ქელეხში, გინდ ქორწილსა თუ ნათლობაში. მივა, ვალს მოიხდის. მაშ როგორ!

მაგრამ ამ ჩვენს დოლრიალა ოპოზიციას პირს ხომ ვერ აუკრავ, რა უნდოდა, ვენაში რა მიარბენინებდაო.

ალბათ მიიწვიეს, კაცო, დააპატიჟეს, როგორც ქვეყნის ხელმძღვანელი. მაგრამ სხვა ქვეყნების ხელმძღვანელები რომ არ დაგვინახავს, გაეგზავნა 60-თეთრიანი ტელეგრამა, „ვიზიარებთ თქვენს მწუხარებასო“, როგორც სხვებმა გაგზავნეს და მორჩებოდაო.

არ არის ასე იოლად საქმე, თქვენ რომ გგონიათ, ძმებო ოპოზიციონერებო! ბატონი მიხეილი ცხონებული ოტოს ტირილში ალბათ მიწვეული იყო არა როგორც უბრალოდ საქართველოს პრეზიდენტი, არამედ როგორც სისხლით მონათესავე დიდგვაროვანი.

გენეტიკაში არის კოდი, რომელსაც ვერანაირი ძალა ვერასოდეს ვერ აღმოფხვრის, ეს მემკვიდრეობით გადაცემული კოდია. გახსოვთ ალბათ, რამდენჯერ გაუსვა ხაზი თავის გენიალოგიაში წერეთლებისა და აბაშიძეთა ხაზს, ერთი ორჯერ ყრუდ, ისე რომ ვიღაც-ვიღაცეებს გმინვა არ დაეწყოთ, ბაგრატიონებიც კი ახსენა, აღმატებული წარმომავლობის დასტურად. ჰოდა, რა იცი, ბატონ მიხეილის ამ სიგრძის და ამ ხარისხის გენიალოგიურ შტოს იქნებ აქა-იქ ჰაბსბურგთა და ჰოჰენცოლერნთა ფოთლებიც ასხია? ეს ჩვენ არ ვიცით, თორემ ვინც საჭიროა, იმას იცის და იქნებ გამოუგზავნა კიდეც შავარშიიანი მოსაწვევი: „მის უდიდებულესობას, ჩვენს ბიძაშვილს მიხაელ ფონ სააკაშვილ-ჰაბსბურგს“... და ა. შ. და ა. შ.

ერთიც. საერთოდ წესია: როცა ქვეყნის მეთაური ქვეყანაში არ იმყოფება, პრეზიდენტის სასახლეზე ეროვნული დროშა დაშვებულია. კიდევ კარგი ეს წესი ჩვენთან არ მოქმედებს, თორემ ჩვენს დროშას ვერასდროს მოჰკრავდი თვალს პრეზიდენტის აქეთ-იქით დაუსრულებელ სიარულში და შესაბამისად ალმის აწევ-დაწევაში. მაგრამ ეს ისე, სალაპარაკოდ კი არა...

მიშა მაგარია!

**ალექსანდრე ალექსიძე**

პრესკონფერენცია

# „ახალი მემარჯვენეები“ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების პრობლემის სასწრაფოდ მოგვარებას მოითხოვენ

**განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული რეფორმა, რომელიც თითქოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას ითვალისწინებდა, რეალურად გამოიწვია ის, რომ ქვეყანაში არა მხოლოდ მეცნიერების განვითარება, არამედ ზოგადად განათლების სისტემის მომავალი დადგება ეჭვქვეშ. ხელისუფლებამ თავდაპირველად ეტაპობრივად გამოიყვანა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებიდან და დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ჩამოაყალიბა, შემდეგ კი განახორციელა მათი რეორგანიზაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებად.**



ახალმა მემარჯვენეებმა ამის თაობაზე განცხადებაც გააკეთეს.

„მოვუწოდებთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, რომელიც ქვეყნის კანონმდებლობით ხელისუფლების მრჩეველია მეცნიერების პოლიტიკის განსაზღვრის საკითხში, ყველა დაინტერესებული მხარის: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის, საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელთა შემადგენლობაშიც სტრუქტურულ ერთეულებად შედიან სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, უმოკლეს ვადაში მოაწყონ დისკუსია, რომელიც განიხილავს შექმნილ ვითარებას და განსაზღვრავს იმ ღონისძიებებს, რომელიც პრობლემის მოგვარებისთვის უნდა განხორციელდეს.

პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეები“ თვლის, რომ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობა სერიოზულია და მოუწოდებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, სასწრაფოდ მოიწვიოს სხდომა, რომელზეც დაინტერესებულ მხარეებთან ერთად შექმნილ ვითარებას განიხილავენ და სათანადო ღონისძიებებს დასახავენ.

„ახალი მემარჯვენეები“, რომლისთვისაც პრიორიტეტულია ქვეყანაში განათლებისა და მეცნიერების განვითარება, მზად არიან, აქტიურად ჩაერთონ პრობლემის მოგვარებაში, რომელიც დღეს ქვეყანაში მეცნიერების განვითარებასთან დაკავშირებით არის შექმნილი.

ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერი მანანა ნაჭყებია განმარტავს, რომ მდგომარეობა ძალზედ სერიოზულია. გაუქმების საფრთხე ემუქრება ბევრ სახელოვან სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, საუკეთესო ტრადიციების და საერთაშორისო აღიარების მქონე სამეცნიერო სკოლას, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია განათლების და მეცნიერების მომავალი საქართველოში.

**ირინა ოზოლაშვილი**

ინფორმაცია

## ქართველი ბიზნესმენები ახალ პარტიას ქმნიან

**ოქტომბერში** ახალი ცენტრისტული პოლიტიკური პარტია იქმნება, რომლის დამფუძნებლები და საინიციატივო ჯგუფის წევრები საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველი ბიზნესმენები არიან.

როგორც „ინტერპრესნიუსს„ საინიციატივო ჯგუფიდან აცნობეს, მის სახელწოდებასა და სლოგანზე მსოფლიოში ცნობილი პიარკომპანია მუშაობს, რომელმაც საქართველოში უკვე დაასრულა კვლევითი სამუშაოები.

ახალი პარტიის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და დამფუძნებელია რუსეთში მოღვაწე, აფხაზეთიდან დევნილი ბიზნესმენი მინდია გულუა, რომელიც გასულ კვირას, სტამბოლში ქართული საზოგადოების ერთ ჯგუფს შეხვდა და აღნიშნული პარტიის შექმნის შესახებ ისაუბრა.

როგორც შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ, კინორეჟისორმა ლევან ანჯაფარიძემ განაცხადა, პარტია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გეგმავს მონაწილეობას.

ახალი პარტიის საგარეო პოლიტიკური ვექტორი კვლავ ევროსტრუქტურებთან მჭიდრო ინტეგრაციისკენ იქნება მიმართული. გაგრძელდება ამერიკის შეერთებულ შტატებთან მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა.

ამასთან ერთად, პარტია თავის ამოცანად დაისახავს რუსეთთან და სხვა მეზობელ სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის, ვაჭრობისა და ეკონომიკის აღდგენას.

„მინდია გულუა დამიფინანსებს ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე ჩემს ახალ ფილმს“ — განაცხადა ლევან ანჯაფარიძემ.

მისი განმარტებით, მომავალი პოლიტიკური პარტიის პრიორიტეტი იქნება საქართველოს გამთლიანება, ეკონომიკის ფეხზე დაყენება და აგრარული სექტორის სრულიად ახლებური გააზრება.

„პარტიის დამფუძნებელთა მიზანია, საქართველოს ისეთი დონის აგრარულ ქვეყანად გადაქცევა, რომელიც შეძლებს არა მარტო საქართველოს დაკმაყოფილებას, არამედ ჭარბი პროდუქტების საექსპორტოდ გატანასაც“ — განაცხადა ლევან ანჯაფარიძემ.

შეხვედრაზე მინდია გულუამ მოკლედ ისაუბრა პარტიის სამომავლო გეგმებზე და აღნიშნა, რომ ახლადშექმნილი პარტია თავის რიგებში გააერთიანებს სუფთა ბიოგრაფიისა და მაღალპროფესიული სტანდარტის მქონე ლიდერებსა და რიგით წევრებს, რომელთა სახელები არ ასოცირდება ადრინდელ პოლიტიკურ მარცხსა და ინსინუაციებთან.

პარტიის კარი ღია იქნება ნებისმიერი ეროვნებისა და აღმსარებლობის პირთათვის, რომელთაც სურვილი აქვთ, მონაწილეობდნენ ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობასა და ქვეყნის გამთლიანებაში.

პარტიის დამფუძნებლები და საინიციატივო ჯგუფის წევრები განაგრძობენ შეხვედრებსა და კონსულტაციებს ახალი პოლიტიკური პარტიის მომავალ წევრებთან და აქტივთან.

## ლეიბორისტები აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს შავ სიაში შსს-ს შეყვანისკენ მოუწოდებენ

**ლეიბორისტები** ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მსოფლიო ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეყვანისკენ მოუწოდებენ.

როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა კახა ძაგანიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომლის მუშაობაშიც ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ადამიანების დახოცვა, მიტინგების დარბევა და ხალხის ცემა, ჟურნალისტების დატერორება და სხვა დანაშაულებრივი ქმედებები, არაფრით ჩამოუვარდება „ალ-ქაიდას„, „ჰეზბოლას„ და სხვა ტერორისტულ დაჯგუფებებს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს შავ სიაში ჰყავთ შეყვანილი.

ძაგანიას განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი არ გაითვალისწინებს „ლეიბორისტების„ მოთხოვნას და არ შეიყვანს შინაგან საქმეთა სამინისტროს შავ სიაში, პარტია ჩათვლის, რომ აღნიშნული უკანონო ქმედებები, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ჩადის, მათი მხრიდან წახალისებული იქნება.

ჯი-ეიჩ-ენი

ვიდეოხიდი

# რა ახალი თავსატეხი გამოუჩნდა ნატოს?

**კიბერშეტევები, ენერგოსაფრთხეები, ლიბიაში დაშვებულ შეცდომებთან ერთად...**

**რას მოუტანს ნატო საქართველოს, ან საქართველო — ნატოს? ამგვარი კითხვები უკანასკნელი წლების განმავლობაში არაერთხელ დასმულა. თუმცა თუ რესპუბლიკელ დავით უსუფაშვილს დავესესხებით, ეს ორივე მხარისთვის ხელსაყრელი მოვლენაა: „ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში“ გაწევრებით საქართველო სამხრეთ კავკასიის რეგიონში თავისი უშუალო მეზობლებისთვის კიდევ უფრო საიმედო, პროგნოზირებადი და პერსპექტიული პარტნიორი უნდა გახდეს. ნატოსთან ინტეგრაციით საქართველო ხდება ძლიერი. ძლიერს კი მეტი პასუხისმგებლობა, მეტი ღირსება, მეტი სოლიდარობა და მეტი საიმედობა მართებს“.**

რაც შეეხება კითხვას, რას მოუტანს საქართველო ნატოს, — ასე ალიანსის არეალი კიდევ ერთი ქვეყნით გაიზრდება, მით უმეტეს, რომ 1999 წლიდან 11 000-მდე ქართველმა სამხედრომ მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში, ჩვენი შენაერთები სხვადასხვა ცხელ წერტილში იმყოფებიან და მსხვერპლიც დიდი გვაქვს.



ბოლო გამოკითხვებით ჩვენი მოსახლეობის ნახევარზე მეტი მაინც ნატოში შესვლის მომხრეა, მაგრამ არა და არ იღება ის „ღია კარი“, სადაც ატუზულები დიდი ხანია ვდგავართ.

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ამის მიუხედავად შარშან ნატოს სამოკავშირეო ოფისი (საელჩოძ გაიხსნა საქართველოში, რომლის მსგავსი ალიანსს არც ერთ პარტნიორ ქვეყანაში არა აქვს, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი გულგრილი არაა ჩვენი ქვეყნის მიმართ, ბუნებრივია, გამომდინარე საკუთარი ინტერესებიდან. ამ დეტალებზე და ნატოს წინაშე მდგარ გამოწვევებზე ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრის ოფისში ვიდეოკონფერენცია გაიმართა ბრიუსელსა და თბილისს შორის. ალიანსის შტაბბინიდან ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწე უსაფრთხოების გამოწვევების საკითხებში **ჯეიმი ში** ჩაერთო. მისი თქმით, ნატო აქტიურად არის დაინტერესებული საქართველოთი და მომხრეა მისი ალიანსში გაწევრების **„მაგრამ ჩვენ ამ საკითხში უფრო მეტი მენეჯერული ხედვა გვჭირდება. ძალიან ბევრი გეგმა გვაქვს თქვენთან დაკავშირებით და გვსურს, ხელი შევუწყოთ მთავრობას ქვეყნის განვითარებაში“,** — აღნიშნა მან.

ლისაბონის სამიტის ბოლო დოკუმენტშიც გარკვევით წერია, რომ **„სტაბილურობა, წარმატებული პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები საქართველოში მნიშვნელოვანია ევროატლანტიკური უსაფრთხოებისთვის. ჩვენ გავაძლიერებთ და განვავრცობთ პარტნიორობას ამ ქვეყნებთან. 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე შევთანხმდით, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი და კვლავ ვრჩებით ამ გადაწყვეტილების ყველა კომპონენტის ერთგულნი. კიდევ ერთხელ ვაფიქსირებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი მხარდაჭერას მის საერთაშორისოდ აღიარებულ ფარგლებში“.**

თუმცა თავად ნატოსაც არაერთი პრობლემა აქვს. ჯეიმი შიმ ყურადღება გაამახვილა ლიბიაში განხორციელებულ ოპერაციაზე. **„შეგვეძლო უკეთესად ჩაგვეტარებინა სამხედრო ოპერაციები, თავი აგვერიდებინა შეცდომებისთვის, თუმცა ეს იოლი არ არის“,** — დასძინა მან. ნატოს პრობლემები აქვს ენერგოუსაფრთხოებასთან დაკავშირებით. მაგალითად, საქართველოში რამდენიმე გრანდიოზული ენერგოპროექტი ხორციელდება, რომელთა დაცვა ნატოს პირდაპირ ინტერესებშია. თუნდაც „ნაბუქოს“ მილსადენი, რომელსაც ევროკავშირი აფინანსებს. გენერალური მდივნის თანაშემწემ დიდხანს ისაუბრა კიბერშეტევაზე, რომელიც მათთვის უკანასკნელი წლების ახალ თავსატეხად იქცა და აღნიშნა, რომ ბრძოლის სრულიად ახლებური მიდგომები და საშუალებებია გამოსანახავი კიბერუსაფრთხოების დასაცავად.

ვიდეოკონფერენციას ქართული მხრიდან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები და სტუდენტები ესწრებოდნენ. ექსპერტი ნიკა ჩიტაძე დაინტერესდა, რა პოზიცია ჰქონდა ნატოს რუსეთთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საფრანგეთის მხრიდან „მისტრალის“ მიყიდვის შემდეგ და ზოგადად რუსეთის სამხედრო შეიარაღებაზე. სამწუხაროდ, ვიდეოხიდი სწორედ ამ დროს გაწყდა ტექნიკური მიზეზების გამო, ამიტომ კითხვა უპასუხოდ დარჩა. თუმცა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის თითქმის ყველა ოფიციალურ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ნატო-რუსეთის თანამშრომლობას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. **„ჩვენი სურვილია, ვიხილოთ ნატოსა და რუსეთს შორის ნამდვილი სტრატეგიული პარტნიორობა და რუსეთისგან შემხვედრი ნაბიჯების მოლოდინით განვახორციელოთ შესაბამისი ქმედებები“,** — ნათქვამია ლისაბონის სამიტის 2010 წლის დოკუმენტში.

**თეა მოსია**

ინფორმაცია

## სამხრეთ ოსეთი არასოდეს ყოფილაო რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის ვაჭრობის საგანი



**აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი არასოდეს ყოფილა რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის ვაჭრობის საგანი მთიანი ყარაბაღის დარეგულირების საკითხში. ეს განცხადება აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ არაზ აზიმოვმა რადიოსადგურ „ეხო მოსკვის“ ეთერში გააკეთა.**

**მისივე თქმით, რუსეთის წარმომადგენლებს არასოდეს მიუციათ მინიშნება ამგვარი გაცვლის შესაძლებლობის არსებობაზე.**

**ამასთან ერთად, დიპლომატმა აღნიშნა, რომ აზერბაიჯანი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას არ აპირებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

განსჯა

# ნიუტონის მესამე კანონი, რომელიც საქართველოში არ მოქმედებს!!!

**„სხეულები ერთმანეთზე მოქმედებენ ძალებით, რომლებიც მიმართულია ერთი და იმავე წრფის გასწვრივ, მოდულით ტოლია, ხოლო მიმართულებით — საპირისპირო“.**

$$\vec{F}_1 = -\vec{F}_2$$

**ანუ ჩვეულებრივ, ადამიანურ ენაზე რომ ვთქვათ, „ქმედება უდრის უკუქმედებას!“**

ძვირფასო მკითხველო, როგორც ბევრჯერ მითქვამს, ჩვენ, ქართველები, ძალიან უცნაური ხალხი ვართ.

იმდენად უცნაური, რომ ნიუტონის მესამე კანონიც დავარღვიეთ და ამით არა მხოლოდ კლასიკურ ფიზიკას (ფიზიკა მოითმენსძ, ჩვენს არსებობას შევუქმენით საკმაოდ სერიოზული პრობლემა.

ჰო, რა გაგიკვირდათ?

ჩვენ ქართველებმა „დავარღვიეთ“ კლასიკური ფიზიკის ერთ-ერთი უმთავრესი კანონი, რომელიც ამბობს, რომ „ქმედება უდრის უკუქმედებას“.

რა, არა?

აბა ცოტა ხნით დაფიქრდით!

იქნებ...

ჰოო?

მერე?

ზუსტად ვიცი, ახლა რას აკეთებს მკითხველი.

გაზეთს ოდნავ გვერდზე გაწევს, ტელევიზორს შეხედავს, „ამათი უნამუსო დედაო“, იტყვის და ისევ ამ წერილს დაუბრუნდება.

აი ეს არის კლასიკური ფიზიკის და ყოველგვარი ქართული კანონების, დიახ, კანონების და არა წესების დარღვევა.

გაზეთის ოდნავ გვერდზე გაწევა, „ნწუ, ნწუ, ნწუ“, ეს რა ხდებაო, ჩალაპარაკება, მერე ერთი „შეძახილი“ — „ქალო, ერთი ნაბელლავი გამოიღე მაცივრიდანო“ და ისევ გაზეთში თავის ჩარგვა, ყველაფერი არსებულის დანგრევა, ღალატი და საკუთარი თავის გაყიდვა.

რა ტყუილს ვამბობ?

ნიუტონიც მოითმენს!

ისე, რაც მართალია, ძალიან მაგრები ვართ ქართველები.

„ქმედებას“ „უკუქმედება“ არ „ვაკადრეთ“.

არ ვაკადრეთ, რადგანაც:

როგორ შეიძლება, რომ ქეჩოში ჩასცხო სახლში შემოშვებულ და მერე „გაჯეჯილებულ“ ნაძირალას?

ძალიან მაინტერესებს იმ ჩინოვნიკის სახის დანახვა, რომელიც არნოლდ სტეფანიანის მიერ დაწერილ საჩივარს მიიღებს.

იმ საჩივარს, რომელშიც ეს „კაი არნოლდა“ მარიკა ლორთქიფანიძეს, რეზო ამაშუკელს, ელიზბარ ჯაველიძეს და კიდევ ბევრ ნამდვილ ქართველს (ხაზს ვუსვამ: — ნამდვილ ქართველსძ უჩივის?

რა მინდა ვიკითხო:

— სადმე რამე ხომ არ გაწუხებს, არნოლდ?

თუ გითხრეს, შენ მიდი და ჩვენც აქა ვართო?

არადა ხომ ვიცი, ხვალ რომ ეს „ქვეყანა გადაბრუნდეს“, ის კაი არნოლდა, პირველი „მოწმე“ და დამსმენი იქნება საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებზე.

კარგით რა. ისე დასუსტდით, რომ არნოლდა გახდა თქვენი მთავარი დასაყრდენი ძალა?

ჰოოო.

მაშინ ჰოოო!!!!!!!!

ისე, თუ სიმართლე გინდათ, ამ არნოლდას ერთი ავლაბრულად უნდა გასცხო ყურისძირში, მაგრამ ამას „ევროპა და დასავლეთი“ ვერც გაიგებს და არც მოგვიწონებს.

და თუ არ მომიწონებს, მაგათი დედაც... ამოვიდა ყელში ამდენი „ტოლერანტობა“. დავიღალე ამდენი „დემოკრატიით“.

პირდაპირ ვამბობ, რომ:

**— ქართველების და საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარეობს გენოციდი.**

**— ქართველების და საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარეობს მორალური და ფიზიკური გადაგვარების მიზანმიმართული ქმედება.**

და ამ დროს, ჩვენ „ტოლერანტობაზე“, საერთო „სიყვარულზე“ და რაღაც უაზრო „მეგობრობაზე“ ვლაყბობთ.

რაო, „ქართველო, ხელი ხმალს იკარო“ დაგვავიწყდა და „ნუ მისცემ სხვას, ის მე არ მგავსო“ ვმღერივართ?

რაო, მარო მაყაშვილი დაგვავიწყდა და... (რამდენი ჩამოვთვალო?ძ — ვეთაყვანებით?

რაო მერაბ კოსტავა და გია ჭანტურია დაგვავიწყდა და... 213 პოლიტიკანი გავიხდა სარჩენი?

უი, ამერიკელები ვერ გაგვიგებენ!

ეს რა დაგვემართება!!!! (გთხოვთ, ეს ფრაზები უსაშინლესი ირონიით წაიკითხოთძ.

ერთ ჩემს ახლობელ გოგონას დიდი დემოკრატის ჯონ ბასის ერთ-ერთმა ხელქვეითმა ამერიკაში შესასვლელ ვიზაზე უარი უთხრა.

მიზეზი ძალიან საინტერესო იყო:

**— შენ იმდენად განათლებული და კარგი შესახედაობის ხარ, რომ იქ სამსახურს იშოვი და დარჩებიო!**

არადა 1948 წლის 10 დეკემბერს, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ საერთაშორისო აქტში, რომელსაც „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ ჰქვია, გამოცხადებულია: — **სიცოცხლის, თავისუფლების, პირადი ხელშეუხებლობის, მოქალაქეობის, საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და თავშესაფრის, დემოკრატიული არჩევნების მეშვეობით სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობის, შრომის, თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების მიღების, დასვენების, განათლების, კულტურული ცხოვრებისა თუ მეცნიერულ პროგრესში მონაწილეობის და ა. შ. უფლებები. დეკლარაციით გამოცხადებულია ასევე: რელიგიისა და მრწამსის, კრებებისა და ასოციაციების თავისუფლება; აკრძალულია: მონობა, მონებით ვაჭრობა; ჩამოყალიბებულია სისხლის სამართლის , სისხლის საპროცესო სამართლისა და საოჯახო სამართლის უმთავრესი ძირთადი დემოკრატიული პრინციპები.**

დეკლარაციის მოთხოვნაა, ეს უფლებები და თავისუფლებები ვრცელდებოდეს ყველა ადამიანზე განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსისა, ეროვნული და სოციალური წარმომავლობისა, წოდებრივი და ქონებრივი ცენზისა.

რაო, ხომ არ ირღვევა ეს საყოველთაოდ აღიარებული „ადამიანის უფლებები“ დემოკრატი ამერიკელების მხრიდან (აბა, ჩვენი ხელისუფლება რომ „ჯეჯილობს“, ამაზე აღარც ვიტყვი რამეს)?

არადა რაც შეეხება ამერიკის ვიზას:

მართალი გითხრათ, არც აქამდე „მომიკლავს“ თავი იქ წასასვლელად და არც აწი შევაწუხებ ამერიკის კონსულს.

(ისე ერთი უნდა „ვილადავო“ და ვიზაზე უნდა „ვიჩალიჩო“. ნეტა თუ გამიშვებენ?ძ

კარგით. ამ „დემოკრატობანასაც“ თავს დავანებებ და ამერიკელების გასაგონად ვიტყვი, რომ იმდენი ქნეს ამ ლიბერასტებმა, საერთოდ შეაძულეს ხალხს სიტყვები „დემოკრატია“, ამერიკა, ნატო დ.ა.შ

**ჰოდა, აწი თქვენ იფიქრეთ რა უნდა ქნათ.**

**მე კი ფეისბუქზე პროფილის სურათად მზის სიმბოლო დავდე!**

**გია გაბრიჭიძე**

◉ მგზავრობის გაძვირება

# თინათინ ხიდაშელი: თბილისის მერია და სატრანსპორტო კომპანია თბილისელებს ატყუებენ

**თბილისის საკრებულოს რესპუბლიკელმა წევრმა თინათინ ხიდაშელმა განაცხადა, რომ თბილისის მერიისაგან კიდევ ერთხელ მოითხოვენ, დაინტერესდეს სამარშრუტო ტაქსების სფეროში შექმნილი განუკითხაობით, დაინტერესდეს კომპანიის საქმიანობით და სატენდერო პირობების დარღვევისთვის აუცილებელი ღონისძიებები განახორციელოს.**

„მერიისა და კომპანიის წარმომადგენლების მტკიცების მიუხედავად, რომ გაძვირება მხოლოდ №4 სამარშრუტო ხაზს შეეხებოდა, ჩვენ ამჟერადაც მართალი აღმოვჩნდით, როდესაც ისინი საზოგადოების შეცდომაში შეყვანაში დავადანაშაულეთ, – აღნიშნა თინათინ ხიდაშელმა, – მრავალი თბილისელი აღმოჩნდა ვითარებაში, როდესაც დილით ძველ სამარშრუტო ტაქსებში გაძვირებული, 80-თეთრიანი გადასახადი დახვდათ. კერძოდ, ჩვენ დაგვიკავშირდნენ სამარშრუტო ხაზების №100, 128 და 147-ის მგზავრები, რომლებიც ტრანსპორტის გაძვირებაზე წუხდნენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ის ხაზები იგულისხმება, რომელთაც ჯერ კიდევ ძველი მანქანები ემსახურება. მოვითხოვთ ქალაქის ხელმძღვანელობამ უპასუხისმგებლო და არასწორი განცხადებების გავრცელების ნაცვლად, თბილისელებს მიაწოდოს სრული და მართალი ინფორმაცია დაგეგმილი გაძვირების, გრაფიკის, მისი მაქსიმალური ოდენობის და ვადების შესახებ.



15 ივლისს თბილისის მერია და სატრანსპორტო კომპანია აცხადებდნენ, რომ მხოლოდ №4 მარშრუტი გაძვირდებოდა.

მგზავრობის ღირებულება 80 თეთრი მხოლოდ №4 სამარშრუტო ტაქსზე იქნება. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „თბილისის მიკროავტობუსიდან“ აცნობეს. „თბილისის მიკროავტობუსში“ სამარშრუტო ტაქსებში განხორციელებულ ცვლილებასთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებენ: №4 სამარშრუტო ხაზზე პირველად მგზავრობის ღირებულება 80 თეთრი იქნება, ელექტრონული ბარათების გამოყენების შემთხვევაში, მგზავრები ფასდაკლებით ისარგებლებენ და მეორედ მგზავრობისას 65 თეთრს გადაიხდიან, სოციალურად დაუცველი პირები კი 50 - პროცენტიანი ფასდაკლებით ისარგებლებენ. ამასთან, მერიაში აღნიშნავენ, რომ 80 თეთრამდე მგზავრობის ღირებულების გაძვირება №4 მარშრუტის გარდა სხვა სამარშრუტო ხაზებს არ შეეხება. მგზავრობის ღირებულება დანარჩენ ხაზებზე კვლავ 50 თეთრი იქნება. კომპანია „თბილისის მიკროავტობუსმა“ დღეიდან №4 სამარშრუტო ხაზზე 36 ახალი 2011 წლის „ფორდის“ მარკის ყვითელი მიკროავტობუსი გამოიყვანა. კომპანიაში აცხადებენ, რომ უახლოეს მომავალში ქალაქში არსებულ სხვა ხაზებზე მოძრავი ძველი მიკროავტობუსებიც ახალი მანქანებით შეიცვლება. სავარაუდოდ, ფასის ზრდა ხაზებზე ახალი მიკროავტობუსების გამოყვანას უკავშირდება.

**ნატა ნიბლაძე**

## თითქმის ყველა ძველ სამარშრუტო ხაზზე მგზავრობის ღირებულება 80 თეთრი გახდა

**80 თეთრი ღირს №40 ,49, 85, 200, 202, 50, 17, 122, 171, 109, 41, 63, 61, 88, 72, 160 სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობა. მძღოლების უმრავლესობა ვერ აკონკრეტებს, თუ ვინ მიიღო მგზავრობის გაძვირების გადაწყვეტილება. ამბობენ, რომ მათ ახალი, 80-თეთრიანი აბრები დისპეტჩერებმა დაურიგეს. მძღოლები, ზოგადად თავს არიდებენ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ჟურნალისტებთან საუბარს და არც იმას აკონკრეტებენ, თუ დისპეტჩერებმა ვისგან მიიღეს მგზავრობის გაძვირების მითითება.**

**რაც შეეხება მოსახლეობას, მგზავრები ამბობენ, რომ მძიმე სოციალურ პირობებში, მათთვის მგზავრობის ღირებულების გაძვირება მიუღებელია და შეუძლებელი გახდება სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობა.**

## მძღოლებმა მგზავრობა თვითნებურად გააძვირეს?

**კომპანია „თბილისის მიკროავტობუსში“ სამარშრუტო ტაქსების მძღოლებზე მგზავრობის ღირებულების გაზრდის მიზნით, რაიმე სახის ზემოქმედების განხორციელებას უარყოფენ .**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა თეონა ნიორაძემ განუცხადა, სამარშრუტო ხაზების მძღოლები იძულებული არავის გაუხდია, რომ მგზავრობის ღირებულება გაეზარდათ. იგი მიიჩნევს, რომ მძღოლებმა ფასი თვითნებურად გაზარდეს, რადგან მგზავრობის ღირებულება №4 სამარშრუტო ხაზზე გაიზარდა.**

**„ნამდვილად ვიცი, სამარშრუტო ტაქსების მძღოლებზე არანაირი ზეწოლა არ ყოფილა. გუშინ უკვე იყო საუბარი, რომ რამდენიმე სამარშრუტო ხაზზე მგზავრობის ღირებულება 80 თეთრი გახდა. მე ვფიქრობ, ეს მძღოლებმა თვითნებურად გააკეთეს. ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ ძველ სამარშრუტო ხაზებს, ჩვენ ვაკონტროლებთ მხოლოდ №4-ს, სადაც ახალი მიკროავტობუსები მოძრაობენ“, – აღნიშნა თეონა ნიორაძემ.**

**ნიორაძემ ასევე თქვა, რომ ფასის გაძვირება არც თბილისის მერიიდან არ მომხდარა და „მერია ნამდვილად არაფერ შუაშია“.**

**ასევე, თბილისის მერიაში აცხადებენ, რომ მათ მგზავრობის გაძვირებასთან არანაირი კავშირი არ აქვთ.**

**თბილისში ძველი სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობაც გაძვირდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ №122, 171 და 109 სამარშრუტო ტაქსების მძღოლებმა განუცხადეს, მგზავრობის 80 თეთრამდე გაზრდა მათ მერიამ აიძულა.**

**თუმცა, მათივე განცხადებით, მგზავრების ნაწილი დღეს ისევ 50 თეთრს იხდის.**

**მგზავრობის 50-დან 80 თეთრამდე გაზრდა მას შემდეგ დაიწყო, რაც თბილისში ახალი, ყვითელი სამარშრუტო ტაქსები გამოჩნდნენ. თუმცა, კომპანია „თბილისის მიკროავტობუსი„ რამდენიმე დღის წინ აცხადებდა, რომ მგზავრობის ღირებულება 80 თეთრამდე მხოლოდ №4 ხაზზე მოიმატებდა.**

◉ აწი გვეშველება?!.

**დაახლოებით ერთი თვის წინათ, როდესაც პარლამენტის ბიუროს სხდომაზე „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელმა გია ცაგარეიშვილმა 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი დააყენა, პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა მას რეგლამენტზე მიუთითა. რეგლამენტის თანახმად, კომისიის შექმნის საკითხის დაყენების უფლება აქვს პარლამენტის თავმჯდომარეს, ფრაქციას და პარლამენტართა ერთ მეხუთედს.**

იმ დროს მაჭავარიანი რეგლამენტის თანახმად სრულიად მართალი იყო და ცაგარეიშვილმა ვერაფერი უთხრა. ეტყობა, ცაგარეიშვილს მაჭავარიანის ეს შენიშვნა იმდენად ემწარა, რომ ამ ერთი თვის განმავლობაში ყველაფერი გააკეთა ფრაქციის შესაქმნელად და გუშინ უკვე პრეზენტაციაც გაიმართა.

ფრაქციის სახელწოდება იქნება „ერთობა სამართლიანობისთვის“ და მასში გაწევრიანდნენ „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი, დამოუკიდებელი დეპუტატი გია ცაგარეიშვილი, პარტია „ქართული დასის“ ლიდერი, დამოუკიდებელი დეპუტატი ჯონდი ბაღათურია, უპარტიო დეპუტატი, ფრაქცია „ძლიერი საქართველოს“ წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე, უპარტიო და დამოუკიდებელი დეპუტატი კარლო კოპალიანი, რომელიც ბოლო დროს ნინო ბურჯანაძესთან ცდილობდა დაახლოებას, ყოფილი ნაციონალი და დღეს დამოუკიდებელი დეპუტატი თამაზ დიასამიძე და ასევე დამოუკიდებელი დეპუტატი და ნოღაიდელის პარტიის წევრი პეტრე მამრაძე.

მართალია, ეს ფრაქცია ისეთი ჭრელია, რომ კაცმა არ იცის, როდის დაიშლება. მაგრამ, ამ შემთხვევაში მთავარი ამოცანა შესრულებულია, ცაგარეიშვილს თამამად შეუძლია, ფრაქციის სახელით საგამოძიებო კომისიის შექმნა იმდენჯერ მოითხოვოს, რამდენჯერაც გაეხარდება. სხვა საკითხია, რომ ამ კომისიის შექმნას უმრავლესობა მხარს არ დაუჭერს. ხმაურის ასატეხად უმრავლესობის მიერ საკითხის ჩავარდნა უფრო მეტად იქნება გამოსაყენებელი და დაშლამდე, როგორც თავად აცხადებენ, „ხელისუფლებას პარლამენტში მაქსიმალურ დისკომფორტს შეუქმნიან“.

„ჩვენ ვართ მესამე ძალა პარლამენტში, რომელიც აქტიურად გამოიყენებს ბერკეტს“, – განაცხადა გია ცაგარეიშვილმა.

კარლო კოპალიანის თქმით კი, „პარლამენტის შიგნით შეიქმნა ისეთი ოპოზიცია, როგორიც ხელისუფლებას აქამდე გარეთ ჰყავდა“.

ეს ფრაქცია, დიდი ალბათობით, პარლამენტში „ექსიანის“ დასაყრდენი იქნება. თუმცა, მეორე საკითხია, ამ კონფიგურაციის ფრაქცია ამას რამდენად შეძლებს. მით უმეტეს, რომ წევრების ნაწილი აშკარად „ექსიანის“ გარეთ მყოფ პოლიტიკურ ძალებთან ასოცირდება.

როგორც ფრაქციის წევრები აცხადებენ, ფრაქცია ოფიციალურად 15 ივლისს დარეგისტრირდა და სათანადო შეტყობინება პარლამენტის ხელმძღვანელობას და საორგანიზაციო დეპარტამენტს უკვე გაუგზავნეს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ დღეს გია ცაგარეიშვილი ფრაქციის შექმნას კატეგორიულად უარყოფდა.

შესაძლოა, ამის მიზეზიც ჰქონდეს, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ხელისუფლებას ამ ფრაქციის შექმნის შესახებ ინფორმაცია წინასწარ არ გაეგო და არ ჩაეშალა.

სხვათა შორის, საპარლამენტო კულუარებში იმაზეც საუბრობენ, რომ ცაგარეიშვილს ამ ფრაქციის შექმნა იგივე კონფიგურაციით, ოღონდ ჯონდი ბაღათურიას გარეშე სურდა და მის ნაცვლად რომან მარსაგიშვილთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. თავიდან თანხმობაც ყოფილა, მაგრამ შემდეგ ხელისუფლებას შეუტყვია და შვილთან დაკავშირებით დაუშანტაჟებია.



# ცაგარეიშვილი და ბაღათურია ოცნებებს ისრულებენ



ახალი ფრაქციის წევრები კი აცხადებენ, რომ ვიცე-სპიკერობა ჯონდი ბაღათურიას ეკუთვნის და მას წარადგენს პარტია „ქართული დასი“, როგორც ბარიერგადალახული პარტია.

შეგახსენებთ, რომ „ქართული დასი“ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში, როგორც ცალკე სუბიექტი, არ მონაწილეობდა და იგი გაერთიანებული ოპოზიციის კვოტით გავიდა.

გაერთიანებული ოპოზიციის სახელით კი ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია გახდა. მართალია, მაშინ ამ საკითხზეც იყო კამათი, რადგან გაერთიანებული ოპოზიციის დიდი ნაწილი პარლამენტში არ შევიდა, მაგრამ ფაქტია, რომ ვინც შევიდა, მაშინ ერთი ფრაქცია შექმნა (ჯონდი ბაღათურიას გარდაძ და ვიცე-სპიკერად სწორედ პაატა დავითაია დაინიშნა.

პარლამენტში ვიცე-სპიკერობა საკმაოდ პრესტიჟულია, რადგან მათი ხელფასი დაახლოებით 3400 ლარია, ჰყავთ მდივანი, სპეციალისტი და თანაშემწე, რომელთა ხელფასიც პარლამენტის ბიუჯეტიდან ფინანსდება. ამასთან, ვიცე სპიკერებს ემსახურებათ პაჯეროს მარკის ჯიპები 600 ლიტრი უფასო საწვავით და გარკვეული ლიმიტი სატელეფონო კავშირის უფასო მომსახურებისა. ასევე, პოლიტიკური დებატებისას ვიცე-სპიკერებს 15-15-წუთიანი გამოსვლის უფლება აქვთ.

ფაქტია, რომ ბაღათურიას საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის და არც ის არის გამორიცხული, რომ არდამტკიცების შემთხვევაში მან ფრაქციის თავმჯდომარეობაც მოითხოვოს. თუმცა, მას პირობა აქვს დადებული, რომ ამას არ მოითხოვს.

რაც შეეხება ფრაქციის თავმჯდომარეს, როგორც ითქვა, ეს თანამდებობა ხუთ-ხუთი თვით გია ცაგარეიშვილსა და დიმიტრი ლორთქიფანიძეს შორის უნდა გადანაწილდეს. პირველი თავმჯდომარე გია ცაგარეიშვილი იქნება. ხუთი თვის შემდეგ კი, მას როტაციის წესით დიმიტრი ლორთქიფანიძე შეცვლის.

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე იქნება კარლო კოპალიანი, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იქნება თავმჯდომარე. მდივანი კი იქნება დიმიტრი ლორთქიფანიძე. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობის დროს კი ვინ იქნება მდივანი, ეს ჯერჯერობით, უცნობია.

როგორც ჩანს, ყველაზე უპრეტენზიო წევრები პეტრე მამრაძე და თამაზ დიასამიძე არიან და ეს არც არის გასაკვირი. პეტრე მამრაძეს არაერთხელ უთქვამს, რომ „მე არაფერი მინდა, თუკი ხუთი კაცი შეიკრიბება, მეექვსე მე ვიქნებიო“.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ეს აშკარად ეკლექტიკური გაერთიანება მოქმედებას, როგორც გია ცაგარეიშვილმა განაცხადა, „ერთ სულ და ერთ ხორცად“ აპირებს. არადა, აქამდე იგივე ცაგარეიშვილს არაერთხელ უთქვამს, რომ იგი ბაღათურიასთან ერთად არაფერს გააკეთებდა, ყველა დანარჩენს რომ თავი დავანებოთ.

თუმცა, იგი ამას იმით ხსნის, რომ „ახალ ფრაქციაში გაერთიანებულმა ადამიანებმა ყველა პიროვნულ თუ პარტიულ ამბიციებს გადააბიჯეს სამართლიანობისთვის საბრძოლველად“.

დიმიტრი ლორთქიფანიძე იყო ერთადერთი, ვინც ამ ფრაქციაში გაწევრიანებისთვის ფრაქცია დატოვა. აღსანიშნავია, რომ მის მიერ ფრაქცია „ძლიერი საქართველოს“ დატოვების შესახებ მოლოდინი ბოლო ორი წლის განმავლობაში ძალზე აქტიური იყო. თუმცა, ერთი წლის წინათ, როდესაც ამ მოლოდინმა პიკს მიაღწია, მან მოულოდნელად დავითაიას პარტია დატოვა და ფრაქციაში დარჩა.

ახლა კი საკუთარ გადაწყვეტილებას იმით ხსნის, რომ მისი ყოფილი ფრაქცია, „ოპოზიციური ფრაქციის ამოცანებს ვერ პასუხობს“. შესაბამისად, დიმიტრი ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ ახალ ფრაქციაში, როგორც ოპოზიციური დეპუტატი, უფრო აქტიური იქნება და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი, მეტად გაიზრდება.

გარდა ამისა, როგორც მან აღნიშნა, ახალი ფრაქცია მუშაობას მთავრობის წევრების მოსმენებით დაიწყებს და პირველი მინისტრები, რომელთაც ახალი ფრაქცია დაიბარებს, შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი და იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი იქნებიან.

როგორც ცაგარეიშვილი აცხადებს, ახალი ფრაქცია 26 მაისის მოვლენების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხს პარლამენტის ბიუროს პირველსავე სხდომაზე დააყენებს.

**თეონა ხარაბაძე.**

Presage.tv

ადვოკატი

# ეკა ბესელია: ჩვენებაში არის ბევრი მოგონილი ფაქტი, რომელთა ოფიციალურ გადამოწმებას დავიწყებ

**ადვოკატი ეკა ბესელია ჯაშუშობაში ბრალდებული ფოტორეპორტიორის გიორგი აბდალაძის დაკითხვის სრული ჩანაწერის გამოქვეყნებას მოითხოვს. ასევე, ბესელიას განცხადებით, გიორგი აბდალაძეზე ზეწოლა ხორციელდება და ბრალდებული მზადაა, ნებისმიერი რამ დაიბრალოს, რათა პატიმრობიდან გათავისუფლდეს. ამ საკითხებზე „ინტერპრესნიუსი“ ეკა ბესელიას ესაუბრა**

**— გიორგი აბდალაძემ არაერთხელ განაცხადა, რომ არ აპირებდა დანაშაულის აღიარებას და ამბობდა, რომ იქიდან შესაძლოა, მკვდარი, მაგრამ მაინც მართალი გამოვიდოდა. თუ გქონდათ მასთან გასაუბრების საშუალება, რა თქვა მან, რატომ მისცა ეს ჩვენება?**

— მას შევხვდი ჩვენების მიცემის შემდეგ. პირველ რიგში, უნდა ვთქვა, რომ როგორც ჩანს, მას სთხოვენ, რომ მე არ ვილაპარაკო იმ გარემოებებზე, რომლებიც ჩემთვის ცნობილი ხდება. მას სთხოვენ, რომ მე გავჩუმდე. არ გამიკვირდება და ალბათ, არც მედიას არ უნდა გაუკვირდეს, თუ მას ამ დღეებში ჩემთან დაკავშირებით აცილება დააწერინეს. ეს მინიშნება მე მისგან მივიღე. მან მითხრა, ნუ მიმატოვებთო. მე ვუთხარი, რომ ვცდილობ, მას დავეხმარო და ამიტომაც, უნდა მიიღოს ის რჩევები, რომლებსაც მე ვაძლევ. თუმცა, როგორც ჩანს, უჭირს იმ სიტუაციაში, რომელშიც იმყოფება, იმოქმედოს ისე, როგორც მიგვაჩნია, რომ მისთვის უკეთესია. ფაქტია, რომ მას გუშინ გამართული შეხვედრისას ჩვენთან საუბარი არ შეეძლო. ეს კიდევ უფრო მძიმე შთაბეჭდილებას მიქმნის. ის მინიშნებით, თვალების მოძრაობით ან მიმიკით ცდილობდა, აეხსნა რაღაცები ან კითხვებზე პასუხი გაეცა. იქ, სადაც ჩვენ ვხვდებით მას, კამერაა დამონტაჟებული და დარწმუნებული ვარ, ჩაწერა მიმდინარეობს. როგორც ჩანს, ეს მანაც იცის და გუშინ, ფაქტობრივად, ვერც ერთ კითხვაზე ხმამაღლა ვერ საუბრობდა. მას ვკითხე, მართალი იყო თუ არა, როცა ეს ჩვენება მისცა გამოძიებას, მან თქვა, რომ ყველაფერს სასამართლო პროცესზე ილაპარაკებს და განხილვის დროს სრულ სიმართლეს იტყვის.

**— ანუ შესაძლებელია, რომ გიორგი აბდალაძემ სასამართლოზე დღეს გავრცელებული ჩვენებისგან განსხვავებული ჩვენება მისცეს?**

— შეიძლება მართლაც განსხვავდებოდეს. გუშინდელი ჩვენება ვერ უძლებს კრიტიკას. მე ბევრი რამის გამო ვიყავი გაოცებული. ჯერ კიდევ 10 წუთით ადრე, მან მითხრა, რომ არ აპირებდა აღიარებითი ჩვენების მიცემას და 10 წუთის შემდეგ დაიწყო ჩვენების მიცემა. დაკითხვის დასაწყისშივე მოხდა კამათი ჩემსა და გამომძიებელს და პროკურორს შორის. ვიდეომასალა, რომელიც გავრცელდა, არის დამონტაჟებული, აჩვენეს მხოლოდ 20 წუთი იმ დროს, როცა დაკითხვა 3 საათზე მეტ ხანს მიმდინარეობდა. მოვითხოვ, რომ გამოქვეყნდეს სრული ჩანაწერი, სადაც ჩანს, რომ დაკითხვის დასაწყისში გიორგი აბდალაძე არ აღიარებს ბრალს და ამბობს, რომ არ ცნობს თავს დამნაშავედ. მერე ცვლის ის პოზიციას და სამი სხვადასხვა პასუხი გასცა ერთსა და იმავე კითხვას, რაც უკვე ნიშნავდა იმას, რომ იგი არ იყო ადეკვატური. მე მას რამდენჯერმე შევაწყვეტინე ჩვენების მიცემა, რამდენჯერმე გავაპროტესტე და ვუთხარი, რომ ბევრი რამ იყო არასწორი და ვცდილობდი, მიმეცა სწორი მიმართულება. მე მას ვკითხე, მიდასტურებდა თუ არა, რომ ერთი დღით ადრე კატეგორიულად გამორიცხავდა ჯაშუშობაში მონაწილეობას; მიდასტურებდა თუ არა, რომ არ აპირებდა ამის დაბრალებას. ეს ვიდეოკადრებში უნდა იყოს, რადგან სამივე კამერა ამას იწერდა. გიამ პასუხად მითხრა, რომ მიდასტურებდა ამ ყველაფერს. ასევე დამიდასტურა, რომ დაკითხვამდე 10 წუთით ადრე ამბობდა, რომ არ აპირებდა აღიარებითი ჩვენების მიცემას. ეს ყველაფერი კადრებშიც არის და ოქმშიც. სწორედ ამიტომ ვითხოვ, ვიდეომასალა სრულად აჩვენონ და გადმოგვცენ ჩვენც.

კითხვა მაქვს — თუ კონფიდენციალური იყო და მთელი საქმე დახურული იყო, რატომ გაუშვეს ეს დაკითხვის ჩანაწერი? მეორე — რატომ არის ნაჩვენები მხოლოდ 20 წუთი, როცა დაკითხვა 3 საათს გრძელდებოდა. აჩვენონ მთელი ჩანაწერი. თუ ეს ნაციონალურ არხებს არ უნდათ, მომცენ მე და მივაწვდი თავისუფალ მედიას, რომელიც ამ ჩანაწერს დადებს, სადაც თავიდან ბოლომდე ჩანს, დაკითხვა როგორ მიმდინარეობს და სრულიად სხვაგვარი სურათი შეიქმნება.

დაკითხვის ოქმზე არის ჩემი საკმაოდ ვრცელი შენიშვნა გაკეთებული. შენიშვნაში მიწერია, რომ შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ჩვენება ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად იყო მიღებული.

**— რამ შეგიქმნათ ამგვარი შთაბეჭდილება?**

— პირველ რიგში იმან, რომ დაკითხვამდე ერთი დღით ადრე მას სრულიად განსხვავებული პოზიცია ჰქონდა. ასევე, ეს შთაბეჭდილება გააძლიერა იმან, რომ გიორგი აბდალაძემ ღამის 11:00 საათზე მოითხოვა გამომძიებელთან შეხვედრა. მესამეც - მან მითხრა, რომ არ აპირებდა ჩვენების მიცემას. როგორც ჩანს, მას ამ ჩვენებაში ბევრი რამ აქვს შეთხზული და ახლა უკვე მრჩება შთაბეჭდილება, რომ დაიბრალა ის, რაც არ ჩაუდენია, რადგან მისგან აღიარებას ითხოვდნენ და რაღაც თავისი ვერსია მოიფიქრა. ეს ჩვენება რომ გადამოწმდეს, დარწმუნებული ვარ, ბევრი რამ არ იქნება სწორი. მაგალითად, მე მას ვკითხე, 2002 წლის რომელ თვეში იყო დაკავებული ცხინვალში, მან თქვა, რომ არ ახსოვდა. იგი იხსენებს ჩაის ჭიქა იდგა იქ თუ ყავის ჭიქა და არ ახსოვს, ზაფხულში მოხდა ეს თუ ზამთარში. დაკითხვის ბოლოს ადვოკატებმა დასვეს კითხვები და აბდალაძემ თქვა, რომ ცუდად არის და არ შეუძლია კითხვებზე პასუხის გაცემა.

და ბოლო მიზეზია თავად გუშინდელი შეხვედრა, რომელმაც ჩემზე ძალიან მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. აბდალაძეს შეხვდა სახალხო დამცველი და ვკითხე , რატომ არ უთხრა სახალხო დამცველს, თუ რა მდგომარეობაში იყო. აბდალაძემ მიპასუხა, რომ ტუღუშს ვერაფერს ვერ ეტყოდა. დღეს მას ჩემთანაც გაუჭირდა საუბარი, ადვოკატებს სთხოვდა, რომ არაფერი არ ელაპარაკათ ჩვენებასთან დაკავშირებით. მე ვკითხე აბდალაძეს, შენ პირადად გეშინია-მეთქი. მან მიპასუხა, „ჩემს გამო არაო“. როგორც ჩანს, აბდალაძეს სხვა ადამიანების, შესაძლოა, ოჯახის წევრების გამო აქვს შიში. მე ვუთხარი, რომ ჩემი მონაწილეობა შოუს სახეს იღებს, რომ საქმეში ვარ მხოლოდ იმიტომ, რომ მას დავეხმარო და თუ არ ვილაპარაკებ, ჩემი ყოფნა აზრს დაკარგავს-მეთქი. პასუხად მითხრა: „ერთადერთი თხოვნა მაქვს — არ დამტოვოთ და არ მიმატოვოთ“.

აბდალაძემ მედიასთან დაგვაბარა ძალიან დიდი მადლობა. მან თქვა, ძალიან მნიშვნელოვანია, რასაც თქვენ აკეთებთო. მას არ უთქვამს, რომ შეწყდეს სოლიდარობის აქციები. როგორც ჩანს, მას სთხოვენ პასუხს ჩემი, თუნდაც მასთან დაკავშირებული განცხადებების გამო და დღეს ვუხსნიდი, რომ არ მჯერა, რომ მისი ჯაშუშობა სიმართლეა და არ მინდა, საზოგადოებას შეექმნას ასეთი შთაბეჭდილება. გიორგი აბდალაძემ მითხრა, რომ მზადაა, ყველაფერი დაიბრალოს, ოღონდ იქიდან გამოვიდეს.

**— გიორგი აბდალაძემ გააკეთა რაიმე მინიშნება მის მიმართ ზეწოლაზე?**

— მინიშნება იყო სწორედ ეს და მანიშნა, რომ იქ ვერ ილაპარაკებდა და მისთვის მთავარია, იქიდან გავიდეს. ისიც თქვა, რომ არ იცის, რამდენ ხანს გაუძლებს. აბდალაძემ თქვა, რომ შესაძლოა, ამას ფსიქოლოგიურად ვერ გაუძლოს.

**— აბდალაძის ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ შესაძლოა, რაღაც ჩვენების სანაცვლოდ გაათავისუფლონ?**

— არ ვიცი. შესაძლოა, მას ჰპირდებიან, რომ გაათავისუფლებენ, მაგრამ მე ვუთხარი, რომ აუცილებელია შედგეს სასამართლო განხილვა. აბდალაძემ არ იცოდა, რომ საპროცესო შეთანხმება ნიშნავს იმას, რომ არსებითი განხილვა არ შედგება და პროცესი სწრაფად დასრულდება. მე მას ავუხსენი, რომ თუ სურს, ჩატარდეს საქმის განხილვა, მაშინ საპროცესო შეთანხმებას არ უნდა დათანხმდეს. შემდეგ თქვა, რომ სასამართლოზე ისაუბრებს ყველაფერზე. გიას ისიც ავუხსენი, რომ საპროცესო შეთანხმება შესაძლოა, მოგვიანებითაც გაფორმდეს. თუმცა, საპროცესო შეთანხმების გაფორმება არ ვურჩიე, ვუთხარი, რომ სჯობს შედგეს სასამართლო პროცესი და მოხდეს ამ მტკიცებულებების წარმოდგენა.

**— ამ აღიარებითი ჩვენების შემდეგ არსებობს საპროცესო შეთანხმების შანსი?**

— არ ვიცი, პროკურატურა რა პირობებს შესთავაზებს ან კონკრეტულად ვინ ელაპარაკებოდა მას. ჩვენ დავტოვეთ საპყრობილის დირექტორის სახელზე მიმართვა, რომელშიც ვითხოვ, მომაწოდონ ინფორმაცია, ვინ შეხვდა აბდალაძეს პარასკევს, 15:00 საათის შემდეგ და გადმომცენ ამ შეხვედრის ამსახველი ვიდეომასალა.

**— რა მტკიცებულებები ჰქონდა გამოძიებას აღიარებით ჩვენებებამდე და არის თუ არა ცნობილი ბრალდებულებისთვის ან თქვენთვის რაიმე ისეთი მტკიცებულება, რაც არ გამოქვეყნებულა?**

— მე ვითხოვე, რომ მომცენ საქმის ასლები და გამაცნონ ის მასალები, რომლებიც საიდუმლოდ მიიჩნევა. მე, როგორც ვიცი, გამოძიებას არანაირი უტყუარი მტკიცებულება არ აქვს. ამიტომაც უნდოდათ მათ ამ აღიარებითი ჩვენების მიღება — თუნდაც, ასეთი აბსურდულის, ასეთი კომიკურის და დაუჯერებელის. მათ ეს სჭირდებათ, რათა შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს ადამიანი ჯაშუშობას აღიარებს და ეს მიაწოდონ საერთაშორისო ორგანიზაციებს და საელჩოებს. ჯერ ერთი — ჯაშუში საქართველოს მოქალაქე ვერ იქნება. თუნდაც ამაში ჩანს, როგორ არასწორად მიდის გამოძიება — ან საკითხის კვალიფიკაცია არ იციან, ან იციან და ამას განზრახ აკეთებენ. ამ შემთხვევაში უნდა იყოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების გამჟღავნების ან სამშობლოს ღალატის კვალიფიკაცია.

ფაქტია, რომ უტყუარი მტკიცებულებები არ არსებობს, ეს ჩვენება მორგებულია იმ აბსურდზე, რომელიც არის საქმეში. თავად ბრალდებულები იცნობენ გარკვეულ მტკიცებულებებს, მაგრამ ეს არ არის ბრალდების დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები..

**— ისევ რჩება ვალდებულება ადვოკატების მიმართ, რომ მათ არ გაამჟღავნონ საქმის დეტალები?**

— ადვოკატებს არ აქვთ ასეთი ვალდებულება. მათ აქვთ ვალდებულება, რომ მხოლოდ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტები არ გაამჟღავნონ. მთლიანად საქმის საიდუმლოდ შენახვის დავალდებულება კი იყო გამოძიების მიერ ადვოკატებისთვის ხელოვნურად ხელის შეშლა, რომ მედიას არ ჰქონოდა მეტი ინფორმაცია. ადვოკატები დაავალდებულეს ისეთი ვალდებულებებით, რომლებიც არ იყო კანონიერი. მე ეს გავაპროტესტე და ვთქვი, რომ არ ვიღებ ვალდებულებას მთელ საქმეზე და მხოლოდ იმ დოკუმენტებზე არ ვისაუბრებ, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველია. ბუნებრივია, ადვოკატებსაც აქვთ გარკვეული პრევენციის და სიფრთხილის მომენტი. იმის მიუხედავად, რომ მათ იციან ამ ვალდებულების უკანონობის შესახებ, იძულებულნი გახდნენ, დამორჩილებოდნენ, რადგან დღეს 120 ადვოკატი ზის ციხეში და ისინი ძალიან კარგად გრძნობენ საფრთხეებს.

**— ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ გამოძიებამ უნდა გამოაქვეყნოს ის მასალები, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას არ შეიცავენ?**

— დიახ და თუ გამოძიება არ გამოაქვეყნებს, დაცვის მხარეს აქვს ამის მოთხოვნის უფლება.

**— საინტერესოა, კანონმდებლობის მიხედვით, ასეთი ტიპის საქმეზე მიუწვდება თუ არა ხელი საგარეო საქმეთა მინისტრს? როგორც ცნობილია, გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ საქმეში უმძიმესი მტკიცებულებები დევს.**

— არა, კონკრეტული პროცესის მონაწილეების გარდა, საქმესთან შეხება არც საგარეო საქმეთა მინისტრს უნდა ჰქონდეს და არც სხვა ვინმეს. თუმცა საგარეო საქმეთა მინისტრმა უნდა უპასუხოს კითხვას — კორესპონდენტმა აბდალაძემ როგორ შეძლო კომპიუტერებიდან საიდუმლო დოკუმენტების გადმოწერა? ეს დოკუმენტები ყოველგვარი დაცვის გარეშე იყო განთავსებული? თუ აბდალაძის ჩვენება სწორია, მაშინ ვაშაძე პასუხისგებაში უნდა მიეცეს, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი ვერ უზრუნველყოფდა მის უწყებაში საიდუმლო ინფორმაციების დაცვას.

**— არის თუ არა საქმეში გამოკვეთილი ის პასუხისმგებელი პირი, ვისაც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი მასალების დაცვა ევალებოდა?**

— არა, მაგრამ ალბათ, გამოკვეთენ. კანონში წერია, რომ ინფორმაციის დაცვა უნდა უზრუნველყონ პრეზიდენტმა, რომელიც ადგენს ნუსხას, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ყველა უწყების სპეციალურმა სამსახურმა. საგარეო საქმეთა სამინისტროში პირველ რიგში, მინისტრია პასუხისმგებელი, რომ უსაფრთხოების სამსახური უზრუნველყოფდეს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაცვას. თუ ასე შეიძლებოდა ამ ინფორმაციის მოპოვება, თუ კორესპონდენტი ესწრება ქვეყნის პირველი პირების და საგარეო საქმეთა მინისტრის ოფიციალურ შეხვედრებს, თანაც იმდენ ხანს, რომ სტენოგრამები აკეთოს, სად არის ვაშაძის პასუხისმგებლობა. ეს არის, რაც უნდა დავიჯეროთ?

**— საბოლოოდ, როგორია თქვენი შთაბეჭდილება — რატომ მისცა აბდალაძემ ეს ჩვენება?**

— როგორც ჩანს, აბდალაძისგან ითხოვდნენ აღიარებით ჩვენებას. მზად იყვნენ, რაღაც აღიარებითი ჩვენება მიეღოთ, სადაც აბდალაძე იტყოდა, რომ თავს დამნაშავედ სცნობდა და თანამშრომლობდა სპეცსამსახურებთან და თუნდაც, ზღაპრები ელაპარაკა. მათ მიიღეს ზღაპრები და უნდათ, ეს საზოგადოებას მიასაღონ. აბდალაძემ ზეწოლას ვერ გაუძლო, მოიგონა რაღაც ვერსია, რომელიც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

მოვითხოვ ყველა ფაქტის გადამოწმებას. ოფიციალურმა დოკუმენტმა უნდა დაადასტუროს, იყო თუ არა გიორგი აბდალაძე 2002 წელს ცხინვალში დაკავებული. რადგან ეჭვი გამიჩნდა, რომ მის ჩვენებაში არის ბევრი მოგონილი ფაქტი, დავიწყებ ამ ფაქტების ოფიციალურად გადამოწმებას.



**მანანა მჭედლიშვილი**

ენერგეტიკა

# ენერგოუსაფრთხოების მესამე ბურჯი

**თუ ეროვნული მრეწველობის მიერ ბოლო წლებში მიღწეულ რაიმე წარმატებებზე შეიძლება ლაპარაკი, აქცენტი, უწინარესად, მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგებაზე უნდა გაკეთდეს. საერთოდაც, ენერგეტიკა ჩვენი ეკონომიკის ერთ-ერთი წარმატებული დარგია, სხვა საკითხია, თუ რამდენად სწორია მისი უცხოური (უწინარესად, რუსეთული) კაპიტალის ხელში გადაცემის პოლიტიკა, შიდა ბაზარზე ელექტროენერგიის შეუსაბამოდ მაღალი ფასი, სატარიფო კოეფიციენტების „ფეოდალური" სისტემა და სხვ. მაგრამ ბოლო წლებში მდგომარეობა რომ შეუდარებლად გამოსწორებულია, ეს აშკარაა. ამის შესაბამისად, დიდია საქართველოს პარტნიორი ქვეყნების დაინტერესება ეროვნულ ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესებით, განხორციელებული თუ ფრთაშესხმის სხვადასხვა სტადიაში მყოფი პროექტებით, ექსპორტ-იმპორტის პერსპექტივებით და ა. შ.**

ამ ინტერესის დამადასტურებელია ახლახან ბრიუსელში, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის შტაბ-ბინაში, ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში, მორიგი საკომიტეტო სხდომის გამართვა, რომელიც საქართველოს ენერგეტიკის სფეროში არსებული მდგომარეობის განხილვას მიეძღვნა. საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის პირველი მოადგილე მარიამ ვალიშვილი, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე ელენე ხოშტარია და ნატოში საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე ალექსანდრე მაისურაძე.

სხდომაზე ქალბატონ მარიამ ვალიშვილმა პარტნიორებს საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკისა და მიმდინარე ენერგეტიკული პროექტების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. მან ასევე საკმაოდ დეტალურად ისაუბრა ენერგეტიკის სფეროში ბოლო დროს განხორციელებულ რეფორმებზე. თავის მხრივ, ნატოს პოლიტიკური და პარტნიორების კომიტეტის წევრებმა ხაზი გაუსვეს საქართველოს, როგორც სამხრეთ კავკასიაში ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელოვან როლს. სხდომაზე ასევე განიხილეს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ენერგეტიკული უსაფრთხოების მხრივ დღესდღეობით არსებული მდგომარეობა, მის მიმართ არსებული გამოწვევები, პრობლემების გადაჭრის შესაძლო გზები.

ცალკე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბრიუსელში გამართულ ერთობლივ სხდომაზე ქალბატონმა მარიამ ვალიშვილმა დიდი ყურადღება დაუთმო გაისად ქალაქ სოჭში დაგეგმილი ზამთრის ოლიმპიადის ობიექტებისთვის აფხაზეთის ტერიტორიიდან ბუნებრივი რესურსების (ხე-ტყის, ინერტული საშენი მასალების და ა. შ.) უკანონო გატანას, ამასთან დაკავშირებით შექმნილ უაღრესად მძიმე ეკოლოგიურ მდგომარეობასა და საგანგაშო ვითარებას.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ 14 ივლისს ბრიუსელში ნატოელ პარტნიორებთან გამართულ შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს საქართველოს როგორც სამხრეთ კავკასიური ენერგოდერეფნის უმნიშვნელოვანეს მდგენელს. ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ საქართველოში შარშან გამომუშავებულმა ელექტროენერგიის რეკორდულმა მოცულობამ თავი იჩინა არა მარტო მოსახლეობის ელექტრომომარაგებაში, არამედ მის ექსპორტშიც. **2010 წელს საქართველოს ყველა ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობამ 10,1 მილიარდი კილოვატ/საათი შეადგინა, რაც ბოლო შვიდი წლის მანძილზე ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.** ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს ენერგოუსაფრთხოება დიდად იყო დამოკიდებული ექსპორტზე, რომლის ლომის წილი რუსეთზე მოდიოდა. 2007 წლიდან მოყოლებული საქართველომ შეწყვიტა რუსეთული ელექტროენერგიის ექსპორტი და, საექსპორტო შეფასებით, მისი საზღვარგარეთ გატანის პოტენციალი აქვს არა მარტო ზაფხულში, არამედ ზამთრის პერიოდშიც. ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ **ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების იდეის რეალიზება საქართველოს მიმართ „ენერგეტიკული სანქციების" გატარების პასუხიცაა და მუქარების განხორციელების თავის დაცვის შედეგიც.**

საქართველოდან ელექტროენერგია აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთისა და რუსეთის მიმართულებით გადის. საექსპერტო შეფასებით, უახლოეს ორ-სამ წელიწადში, იმ პროექტების გათვალისწინებით, რომლებიც ახლა ხორციელდება, საქართველოს ელექტროენერგიის წარმოების გაორმაგების პოტენციალი აქვს, რაც საგარეო ბაზრის კიდევ უფრო გაფართოების შესაძლებლობას შექმნის, ვინაიდან მასზე მოთხოვნილება ასევე ირანსა და ერაყს აქვთ.



**2012 წლისთვის აზერბაიჯანი-თურქეთი-საქართველოს „ენერგეტიკული ხიდის" პროექტის ფარგლებში ენერგოსისტემების გაერთიანების გამაერთიანებელი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა დასრულდება. აღსანიშნავია, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის პროექტების განხორციელების შემდეგ „ენერგეტიკული ხიდი" სამ ქვეყანას შორის მესამე წარმატებული ტრანსნაციონალური ენერგეტიკული პროექტი იქნება.**

აღსანიშნავია, რომ პროექტ „ენერგეტიკულ ხიდს" ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (იუსაიდი) აფინანსებს, ტექნიკურ დახმარებას აშშ-ს ენერგეტიკის ასოციაცია უწევს, რომელმაც საქართველოს სახელმწიფო ენერგოსისტემასთან, „აზერენერჟისთან" და თურქეთის ელექტროენერგიის ტრანსმისიის კორპორაციასთან ერთად მაღალი ძაბვის ქსელების რეგიონული მოდელი შეიმუშავა, რომლის მეშვეობით ელექტროენერგიით მომარაგების მთელი სისტემის უსაფრთხოების ოპტიმიზაცია მოხდება.

ამჟამად გრძელდება საქართველოსა და თურქეთის ენერგოსისტემების დამაკავშირებელი 500-კილოვატიანი სიმძლავრის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, რომელიც მწყობრში წლის მიწურულს უნდა ჩადგეს. გარდა ამისა, საქართველოსა და თურქეთს კიდევ ერთი მაღალი ძაბვის 400-კილოვოლტიანი ხაზი დააკავშირებს, რომელიც ახალციხის ქვესადგურიდან გაიჭიმება, ხოლო მისი მშენებლობა ზემოაღნიშნული 500-კილოვოლტიანი ხაზის მწყობრში ჩადგომისთანავე დაიწყება. გარდა ამისა, წლეულს უკვე დაიწყო ენგურჰესი-წყალტუბო-ახალციხისა და აზერბაიჯანთან 500-500 კილოვოლტის, სენაკი-1 220-კილოვოლტიანი ახალი ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის საპროექტო, აგრეთვე სენაკი-2-ის მაღალი ძაბვის ხაზების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

**არსებული მონაცემებით, უახლოეს მომავალში საქართველოს ენერგეტიკაში 5 მილიარდი დოლარის ინვესტიციების მოზიდვა იგეგმება, რამაც ელექტროენერგიის ექსპორტის მოცულობის მნიშვნელოვან ზრდას უნდა შეუწყოს ხელი და რომელიც, როგორც გვარწმუნებენ, „იაფი იქნება".**

**ვნახოთ!**

ოთარ ტურაბელიძე

წკეპლიკები

## „მაგრამ ვაიმე, რომ ეჭვი მოუგზავნია ჯოჯოხეთს"...

ჩვენი დინამიკური, მარჯვე, ოპერატიული და, რაც ყველაზე საგულისხმოა, დეპუტატებით მუდამ სავსე სხდომთა დარბაზიანი პარლამენტის ხუთი თუ ექვსი ვიცე-სპიკერიდან (ცოტა უცნაური კია, ან სულაც კომიკური, რომ 155-კაციან უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ამდენი თავმჯდომარის მოადგილე ჰყავს – ხალხის 26 რჩეულზე ერთი რომ მოდის...) მხოლოდ ლევან ვეფხვაძეა მკვეთრად გამოხატული ოპოზიციონერი და, შესაბამისად, ხელისუფლების მწვავე გამკრიტიკებელი.

არადა, სულ ახლახან „სრ"-იდან გაოცებით შევიტყვე, რომ ამ კაცის მეუღლე მთავრობის უმაღლესჩინოსნის გია ბარამიძის პრესსამსახურის ხელმძღვანელად მუშაობს წლების სიგრძეზე, ხოლო ცოლისძმა მირიან ჩიქოვანი შინაგან საქმეთა სამინისტროში კუდ-ის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსია. გამაოცა არა ამათმა ყოფნამ ასეთ თანამდებობებზე (ღმერთმა შეარგოთ...), არამედ ლევან ვეფხვაძის ოპოზიციონერობის „შეუთავსებლობამ" ამნაირ ახლობელთა „პროხელისუფლებურობასთან". ჩამოთვლილი სამი ანტაგონისტური მომენტი, აგრე გვერდიგვერდ, საეჭვოდ არ მოჩანს განა?..

ჰოდა, მე ცოდვითა და ეჭვით სავსეს, არ მეფიქრა, ხომ არ არის ბატონი ლევანის – ეს „სტატუსი" სულ ზემოთ შეთანხმებული, ზემოდან ნებადართული – ექვსში (ვიცე-შიც) მოდი, ერთი ოპოზიციონერად დავსვათ, დემოკრატობანას თამაში უფრო გამოგვივაო და არჩევანი სწორედ ლევან ვეფხვაძეზე შეაჩერეს?..

შემდგომი ჩემი ეჭვი ყბადასაღებ და უკვე ყბადაღებულ 26 მაისის აღლუმთანაა თანახლებული. ისევ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, სხვადასხვა ცნობილმა პიროვნებამ, სხვადასხვა დროს მოიწონა, რომ იმ სამარცხვინო ზეიმზე სუხიშვილებმა არ იცეკვეს (ბოლოს ეს გააკეთა – „თავისი წილი მადლობა უთხრა სახელოვან სუხიშვილებს" – თვალსაჩინო ქართველმა პოეტმა შოთა ზოიძემ); კი ბატონო, თუ იმ ღამის ტრაგედიის გამო პროტესტის ნიშნად საკუთარი ნებით არ იცეკვეს, მართლაც ქება და დიდება იმათ... ოღონდ 26 მაისისვე საღამოს რომ ტელეეკრანზე ანსამბლის ხელმძღვანელი ქალბატონი გამოვიდა და განაცხადა, აღლუმზე ცეკვა პრეზიდენტის განკარგულებით არ შესრულდაო, ამ ფაქტს რა ვუყოთ?.. სად საპროტესტო „არცეკვა" და სად ნაბრძანები?..

და ბოლოს, ტელესტუდია „კავკასიის" ამბავი. სახელგანსმენილი ტელეწამყვანი დავით აქუბარდია (ჩვენი ენამზიანი და ენამოუღლელი აქუძ თავის „სპექტრში" ასე რომ მოსდგება ხოლმე ხელისუფლებას, სულ უმაღლესით დაწყებული, ასე რომ განაქიქებს ხოლმე ნაირ-ნაირ „კანტორას", ვანოსა თუ სხვის „ბიჭებს" – ესეც ხომ არ არის „ჩაწყობილი", ზემოდან ვიზირებული, მწვანეშუქანთებული? არავისთვის არაფერი არ შეურჩენიათ და რაღა აქუს ამყოფებენ ასე თამამად და ასე უშიშრად?..

ამ ქვეყანაში რა უნდა გაგიკვირდეს!

## „ციტატა" ციტატისა წილ...

„ასავალ-დასავალის" ბოლო ნომერში (18-24 ივლისი), ცნობილი „კვირგვინოსნების" რუბრიკით, პირველივე ციტატა, ჟურნალ „სარკე"-დან ამოღებული, საქართველოს პრეზიდენტისაა.

**„მონღოლი დამპყრობლებიც კი უფრო პოპულარულები იყვნენ საქართველოში, ვიდრე მაისის აქციების ორგანიზატორები არიან"** – ამბობს მიხეილ სააკაშვილი.

რამდენად მოსწრებული ან მართებულია ქვეყნის მეთაურის ენა-პირით „ნაღალადევი" ეს შედარება – მაგის სინდისზე იყოს. ისტორიასთან რომ საერთოდ ცოტა მწყრალად გახლავთ თვალსაჩინო ქართველი მკვლევარი ისტორიკოსის, პროფესორის, ქალბატონ გიული ალასანიას ვაჟიშვილი – ეს არახალია, ძველია და ერთგვარად გასაკვირიც...

თავს როგორ მივცემ ქვეყნის **პირველ პირთან დაპირისპირების** უფლებას, მაგრამ „ანტიშედარებას" მივმართავ და დაე, პირუთვნელმა (და „თვალუთვნელმა"...) მკითხველმა განსაჯოს – მე უფრო ახლოს ვდგავარ **სიმართლესთან,** თუ ის...

**იგორ როდიონოვის 9 მარტის დამრბევნიც კი უფრო პოპულარულნი არიან საქართველოში, ვიდრე 26 მაისის აქციების დარბევის ორგანიზატორები არიან...**

რამაზ გორგაძე

ინფორმაცია

## აჭარაში უძრავი ქონების გაყიდვები 16.8 პროცენტით გაიზარდა

**2011 წლის იანვარ-ივნისში აჭარაში უძრავი ქონების გაყიდვის 2384 ფაქტი დარეგისტრირდა, რომელშიც ქალაქ ბათუმის წილი შეადგენს 61.4%-ს.**

**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ამავე პერიოდში აჭარაში უძრავი ქონების გაყიდვების რაოდენობა 2010 წელთან შედარებით გაიზარდა 16.8%-ით, ხოლო 2009 წელთან შედარებით - 1.7-ჯერ. ქალაქ ბათუმში, 2011 წლის იანვარ-ივნისის მდგომარეობით, უძრავი ქონების გაყიდვების რაოდენობა 2010 წელთან შედარებით გაიზარდა 11.0%-ით, ხოლო 2009 წელთან შედარებით - თითქმის გაორმაგდა.**

**ივნისში წინა წლის იმავე თვესთან შედარებით უძრავი ქონების გაყიდვების რაოდენობა აჭარაში 28.6%-ით გაიზარდა და 468 ერთეული შეადგინა. ზრდა დაფიქსირდა ქალაქ ბათუმშიც.**

**2011 წელს როგორც აჭარაში, ისე ქალაქ ბათუმში გაყიდვებით ლიდერი თვეა მაისი (შესაბამისად 510 და 336 უძრავი ქონების გაყიდვის ტრანზაქცია). ტერიტორიული ერთეულების მიხედვით გაყიდვების სტრუქტურაში ლიდერია ქალაქი ბათუმი (61.4%). მეორე და მესამე პოზიციებს ინაწილებენ ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტები (შესაბამისად 23.6% და 12.5%). ქედას, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტების წილი ამ სტრუქტურაში უმნიშვნელოა და ჯამურად 2.6%-ს შეადგენს.**

ჯი-ეიჩ-ენი

ვარაუდი

ალექსანდრე რარი:

# აფხაზეთი საქართველოსთვის სამუდამოდ დაკარგულია და იგი მას არასოდეს არ დაუბრუნდება



**გერმანელი პოლიტოლოგი და ექსპერტი ალექსანდრე რარი აცხადებს, რომ აფხაზეთი საქართველოსთვის სამუდამოდ დაკარგულია და მისი დაბრუნება არასოდეს მოხდება. ამას გარდა, „ვესტნიკ კავკაზასთან" საუბარში ექსპერტი 2008 წლის აგვისტოს ომს განიხილავს, პასუხს სცემს კითხვას, როგორი იყო საქართველოს ხელისუფლების გეგმა 2008 წლის 7 აგვისტოს ღამით და აღნიშნავს იმასაც, თუ როგორ შემოატრიალა ეს გეგმა რუსეთმა თავის სასარგებლოდ, რომელიც რუსეთის იმპერიის ყოფილ ტერიტორიას, ექსპერტის აზრით „არასოდეს დათმობს".**

**„ამის გამორიცხვა არ შეიძლება და მიმაჩნია, რომ ორი მეზობელი იმისკენ უნდა ისწრაფვოდეს, რომ ურთიერთობები დაალაგონ. ის, რაც არის დღეს, არც ერთ და არც მეორე სახელმწიფოს ხელს არ აძლევს. ორი ქვეყანა კვლავინდებურად სერიოზული კონფლიქტების პირას დგას და ეს კარგი არ არის. მაგრამ როგორ უნდა შეიცვალოს ეს სიტუაცია? ფილოსოფიურად თუ ვიმსჯელებთ, მაშინ სიტუაცია შესაძლოა შეიცვალოს, თუ რუსეთსა და საქართველოში ამჟამად არსებული ხელისუფლებები შეიცვლება, შეიცვლება ხალხი, რომლებიც პირდაპირ იყვნენ დაკავშირებულნი 2008 წლის აგვისტოს ომთან",** — აცხადებს რარი და აღნიშნავს, რომ, სავარაუდოდ, ეს სიტუაცია შესაძლოა, განვითარდეს საქართველოში, მაგრამ რუსეთში მდგომარეობა ამ კუთხით „უფრო რთულადაა".

**„საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წელს უნდა გაიმართოს და რამდენადაც მე ვიცი, სააკაშვილი მასში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ქართული ელიტის თვალსაზრისით, შემიძლია წარმოვიდგინო, რომ ნებისმიერი სხვა პრეზიდენტი, რომელიც 2013 წლის შემდეგ მოვა ხელისუფლების სათავეში, ეცდება რუსეთთან ურთიერთობები დაალაგოს.**

**რუსეთში კი, როგორც თვად ხვდებით, სიტუაცია უფრო რთულია, იმიტომ , რომ ბატონი პუტინი ხელისუფლებას არავის მისცემს — იგი ან პრეზიდენტი გახდება, ან ისევ პრემიერის თუ პარლამენტის თავმჯდომარის რანგში უხელმძღვანელებს ქვეყანას.**

**მიმაჩნია, რომ რუსეთს არ აწყობს საქართველოსთან დაძაბული ურთიერთობების ქონა. ისტორიულად ხომ მხოლოდ ნეგატიური მომენტები არ ყოფილა. ბევრი ქართველი ცხოვრობს რუსეთში და იქ ქართველების მიმართ ნეგატიური გრძნობა არავის ჰქონია. ნორმალიზაციის საკითხი, რა თქმა უნდა, ძალიან მტკივნეულია და, სავარაუდოდ, საქართველოს ეხება, რადგან, ჩემი აზრით, საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნება აღარ მოხდება",** — აცხადებს გერმანელი ექსპერტი.

მისივე თქმით, აქ საქმე მხოლოდ რუსეთში არ არის, საკითხი აფხაზეთშიცაა, რომელიც არასოდეს არ დათანხმდება, მისცეს ვინმეს თავისი ის სუვერენიტეტი, რომელიც მან რუსეთისაგან მიიღო.

**„იგი თავის სახელმწიფოს აშენებს და თუ თქვენ მე კონკრეტულად მკითხავთ, მე გეტყვით, რომ დროთა განმავლობაში აფხაზეთს აღიარებენ სხვა სახელმწიფოები, მათ შორის თურქეთიც. მიმაჩნია, რომ ეს ვარიანტი რეალურია. ხოლო თუ არა, მაშინ ცალკეულ სახელმწიფოებს აფხაზეთთან ექნებათ ძალიან კარგი სავაჭრო ურთიერთობა და ის გადარჩება და არა მხოლოდ გადარჩება, არამედ განვითარდება, როგორც სუვერენული სახელმწიფო და ასეთი იქნება თუნდაც აუღიარებელი.**

**იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პოლიტიკა მიმართული იქნება იქითკენ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში უკომპრომისოდ დაიბრუნოს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი და არ წავა რუსეთთან მიმართებით რაღაც კომპრომისებზე — ამ შემთხვევაში კონფლიქტი შენარჩუნდება და პრობლემები გადაუწყვეტელი იქნება. მიმაჩნია, რომ საქართველოს მომდევნო პრეზიდენტი იმისათვის, რომ დაასტაბილუროს სიტუაცია თავის ქვეყანაში და მეზობლებთან, რაღაცნაირად უნდა ეცადოს და აღიაროს ის შეცდომები, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ 2008 წლის აგვისტოში დაუშვა",** — აცხადებს რარი და საუბარს რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს მეორე რეგიონზე ე.წ. სამხრეთ ოსეთზე აგრძელებს.

**„რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს — ეს საკითხი არც ისე ადვილია და არც ისე ცხადი. იქ, ჩემი აზრით, ჯერ კიდევ ყველაფერი შესაძლებელია საქართველოს შემადგენლობაში თავიანთი ნებით დაბრუნებაც კი. მაგრამ იქ სულ სხვა პირობების შესრულება იქნება საჭირო. ქართველებმა ეკონომიკურად ძალიან მჭიდრო ურთიერთობები უნდა დაიწყონ ოსებთან და მათ თავიანთი ეკონომიკური უპირატესობა უნდა დაუმტკიცონ — ეს კი ადვილი არ იქნება",** — აცხადებს ალექსანდრე რარი და ჩრდილოეთ ოსეთის ფაქტორზე საუბრისას მიანიშნებს, რომ — იქ გეოგრაფიაა წინაალმდეგ.

**„გეოგრაფია ისეთია, რომ ართულებს სამხრეთ ოსეთის გაწევრებას რუსეთთან. რუსეთამდე იქ გვირაბია, სინამდვილეში კი საქართველოში არსებული ანკლავი გამოდის. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში გეოგრაფია განსაზღვრავს ამ რესპუბლიკის განვითარებას. იქ კოკოითის წასვლის შემდეგ ყველაფერია შესაძლებელი. მართალია, ოსების გარკვეული ნაწილი არ მოინდომებს ქართველებთან ცხოვრებას, ჩრდილო ოსეთში წავა საცხოვრებლად ან რუსეთში. თავად სამხრეთ ოსეთში კი, შესაძლოა, სიტუაცია სხვაგვარად განვითარდეს. იქ შესაძლებელია კვლავ საქართველოზე ორიენტაცია, თუ თბილისი მათ საინტერესო ეკონომიკურ პროექტს შესთავაზებს და ზეწოლას არ მოახდენს. აი რაც შეეხება აფხაზეთს, მიმაჩნია, რომ იგი წავიდა...**

**თუ ამ საკითხის ირგვლივ არსებულ სიტუაციას გადავხედავთ, მიმაჩნია, რომ ის, სწორედ ასე განვითარდება. თუ ამას ყველაფერს სულ უკეთ და უკეთ გაიგებენ პოლიტიკოსები საქართველოსა და რუსეთში, ისინი სულ უფრო და უფრო უკეთ გაუგებენ ერთმანეთს და მალე მოილაპარაკებენ. მართალია მათ მეგობრული ურთიერთობა არ ექნებათ, ვინაიდან საქართველოს დიდი იმედი აქვს იმისა, რომ მას ნატოში მიიღებენ და მისი ახლანდელი ხელისუფლების პირობებში იგი ნატოში გაწევრებას რუსეთთან კონფლიქტებით შეეცდება. შეეცდება დაამტკიცოს, რომ მას დაცვა სჭირდება ცუდი რუსეთისგან. მაგრამ დასავლეთის ძალებიც იწურება უკვე, ეს უნდა ვაღიაროთ და ლიბიაში, ავღანეთსა და ერაყში არსებულ სიტუაციას შევხედოთ.**

**ყველა ქართველმა ლიდერმა უნდა შეიგნოს, რომ ნატო და დასავლეთის სოლიდარობა მხოლოდ ქაღალდზეა და ისიც საკითხავია, აქაც როდემდე. დასავლეთი ახლა თავის კრიზისს გადის და ჯერ კიდევ გაუგებარია, თუ რა ფორმაციაში იქნება იგი 10 და 20 წლის შემდეგ",** — აცხადებს ალექსანდრე რარი.

მისივე თქმით, საქართველოს ევროკავშირში გაწევრებასაც გეოგრაფია განსაზღვრავს. **„თურქეთის გარეშე ეს გამორიცხულია. თუ თურქეთი შევა ევროკავშირში, მაშინ საქართველოს შანსები გაიზრდება",** — აცხადებს ექსპერტი და საუბარს კვლავ საქართველოსა და რუსეთს შორის 2008 წელს მომხდარ ომზე აგრძელებს.

**„დღეს ჩვენ ვიცით, რომ რუსეთი ამისათვის წლების განმავლობაში ემზადებოდა. რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს 18 წლის განმავლობაში, დასაწყისიდანვე უჭერდა მხარს. იქ მას თავისი გავლენა და სამხედრო ბაზები ჰქონდა. ომამდე ორი კვირით ადრე რუსეთმა სამხრეთ ოსეთიდან მოსახლეობის დიდი ნაწილი გაიყვანა, ანუ რუსეთის დაზვერვას ჰქონდა რაღაც მონაცემები იმის შესახებ, რომ ასეთი თავდასხმა შეიძლება მომხდარიყო. მე არ გამოვრიცხავ, მართლაც არ გამოვრიცხავ, მაგრამ არც ვიცი, რომ სააკაშვილს ხაფანგი დაუგეს. ეს ჰიპოთეზაა. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ რუსეთის პოლიტიკის მიზანი იყო, დაედასტურებინა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთი მთავარი ფაქტორია და დასავლეთი იქ არ უნდა მიძვრებოდეს და არავითარი ნატოს გაფართოება აქ არ იქნება, იმიტომ რომ ეს რუსეთის გავლენის ზონაა: ეს რუსეთის იმპერიის ყოფილი ტერიტორიაა, არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის, და რუსეთი მას ასე ადვილად არ დათმობს. მიმაჩნია, რომ მრავალმა ეს ასეც გაიგო, ყოველ შემთხვევაში საფრანგეთსა და გერმანიაში გაიგეს. აშშ-ში ამაზე ღიად არ საუბრობენ, მაგრამ ესმით, რომ ამ სივრცეში არსებობს დიდი ზესახელმწიფოს ინტერესები და საქართველოს პოზიციის დაცვა არავითარ დადებით შედეგამდე არ მივა. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება კოვბოური მეთოდებით...**

**შეიძლებოდა რამდენიმე თვე დაეცადათ, და ეს მათი დამოუკიდებლობა იმ გზითვე გაეკვალათ, რა გზითაც ეს კოსოვოში მოხდა. მეტად იურიდიულად... საჭირო იყო ამ საქმეს საერთაშორისო სასამართლოებში გაეარა და მართლაც დალოდებოდნენ იმ სიტუაციას, როდესაც თავად ევროკავშირი იტყოდა, რაც მან მოგვიანებით მაინც გააკეთა, რომ კონფლიქტში მთავარი ბრალდებული საქართველო იყო.**

**და მაშინ ეს დამოუკიდებლობა ცოტა უფრო მეტად ლეგიტიმური იქნებოდა. გასაგებია, რომ სამხრეთ ოსეთს იცავდა რუსეთი საქართველოსგან, მაგრამ რა შუაშია აქ აფხაზეთი? ისიც მაშინვე აღიარეს. ეს ისეთი საკითხია, რომელიც დღემდე ჰაერშია გამოკიდებული. არავინ დღემდე არ იცის, აფხაზეთზეც მზადდებოდა ასეთი „თავდასხმა" ქართული ჯარისა, თუ ის „ბარემ აფხაზეთიც" — პრინციპით ჩაიგდეს ხელში. სწორედ ეს მაქვს მხედველობაში, როდესაც კოვბოურ პოლიტიკაზე ვსაუბრობ.**

**თუმცა წარმოვიდგინოთ, რომ სააკაშვილის გეგმა გამართლებულიყო... რა უნდოდა მას? მას უნდოდა 7-8 აგვისტოს ღამით სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებს შორის პანიკა გამოეწვია, ამიტომაც იბომბებოდა „გრადით" ბრმად ეს ტერიტორია. გათვლა შემდეგნაირი იყო: რომ მთელი მოსახლეობა გადარჩენის მიზნით როკის გვირაბს მიაწყდება, იქ წარმოიქმნება საცობი, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდება. შედეგად როკის გვირაბი ჩაიკეტება რუსული ტანკებისათვის, რომლებიც ლტოლვილთა დიდი ნაკადის გამო ვერ გადმოვიდოდნენ აქეთ მხარეს მყოფი რუსი სამშვიდობოების დასახმარებლად. სააკაშვილი იმედოვნებდა, ყველაფერი ზუსტად ასე მოხდებოდა, თუმცა მართალია ამისათვის მას სამშვიდობოების მოცილება დასჭირდებოდა და ეს, რა თქმა უნდა, დანაშაულია, მაგრამ სააკაშვილი ამაზე მიდიოდა იმისათვის, რათა მეორე დღეს ეთხოვა ნატოსათვის ამ ტერიტორიაზე თავისი სამშვიდობო ძალებით შესულიყო, რომლებიც რუსული არმიის ნაცვლად რეგიონის კონტროლს დაიწყებდნენ. ამის შემდეგ კი ნატოსთან ერთად სამხრეთ ოსეთის, შემდეგ კი აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების საკითხი გადაწყდებოდა.**

**რუსეთისათვის ასეთი სცენარით მოვლენების განვითარება კატასტროფა იქნებოდა, იმიტომ, რომ იგი ამგვარი სამხედრო მოქმედების სულ რამდენიმე საათში ან, შესაძლოა, წუთში სახეს დაკარგავდა. რაღა დიდი ზესახელმწიფო იქნებოდა, თუკი მისი ტანკები გვირაბში იჩხირებიან და რომელსაც არ შეუძლია საკუთარი მოქალაქეების დაცვა უზრუნველყოს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლები ფორმალურად იყვნენ რუსეთის მოქალაქეები რუსული პასპორტებით. კაპიკის ფასი გახდებოდა მაშინ რუსეთის ყველა ამბიცია მთელს რეგიონში — დნესტრისპირეთსა და მთიან ყარაბაღში. რუსეთი გახდებოდა ისეთი სახელმწიფო, რომელიც ხმამაღალ განცხადებებს აკეთებს და საჭირო მომენტში ომს პატარა საქართველოსთან აგებს.**

**ამიტომაც, რუსეთის ხელისუფლებამ იცოდა რა ეს ყველაფერი და აცნობიერებდა, არ გამოვრიცხავ, რომ სააკაშვილს ხაფანგი დაუგო — წააქეზა, ზურგი მოიმზადა, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა გაიყვანა, ტანკები და ვერტმფრენები კი შეიყვანა — მიმაჩნია, რომ ყველაფერი ზუსტად ასე ხდებოდა. იმ სახელმწიფოს პოზიციიდან, რომელიც თავს ზესახელმწიფოდ მიიჩნევს, ვგონებ, ყველაფერი გასაგებია",** — აცხადებს საუბრის ბოლოს ალექსანდრე რარი.



ინფორმაცია

## ისევ ახალი ჯიშის ხორბალი?



**საქართველოში შემოტანილი მარცვლეული კულტურების სათესლე მასალა უკვე გამოიცადა და მაღალი მოსავლიანობა აჩვენა. სოფლის მეურნეობის სამინისტროში განმარტავენ, რომ სართიჭალის საცდელ მეურნეობაში დათესილი მზესუმზირა, ხორბალი და სიმინდი მინიმუმ გაორმაგებულ მოსავალს იძლევა. სამინისტროს ინფორმაციით, მომავალი წლიდან სოფლის მეურნეობის სამინისტრო ფერმერებსა და გლეხებს ამერიკული ჯაგერის შემდეგ, ახალი ჯიშის ხორბალს შესთავაზებს. „ფულერი" საქართველოს კლიმატურ პირობებთან და ნიადაგთან შეთავსებადია და საჰექტრო მოსავლიანობის კარგ შედეგებს იძლევა. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახალი მარცვლეული კულტურების ახალი ჯიშების გამოცდით და მათი დანერგვით, ადგილობრივი წარმოების ინტენსიფიკაციისა და ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დაინტერესდა.**

ჯი-ეივ-ენი

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

## ტყის მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეების სანიტარიული ჭრებით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] |
| 2 | [illegible] | [illegible] |
| 3 | [illegible] | [illegible] |
| 4 | [illegible] | [illegible] |
| 5 | [illegible] | [illegible] |
| 6 | [illegible] | [illegible] |
| 7 | [illegible] | [illegible] |

| | |
|---|---|
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | |
| [illegible] | [illegible] |

◉ ძიუდო

# ერთი ოქრო და ორი ბრინჯაო



**ახალგაზრდა ძალოსნების ძიუდოისტთა თურქეთის საერთაშორისო ტურნირში რვა ქართველი ფალავანი მონაწილეობდა. მათგან სამმა მედალი დაიმსახურა.** კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა **ლაშა ზურაბიანი** (81 კგძ. სტამბოლში მან ზედიზედ ხუთ მეტოქეს სძლია – თურქ ისმაილ სერჰატ კამბურის, რუსებს – ანდრეი პოპოშინს და ადამ კლიშევს, იტალიელ მატეო მარკონჩინის, ხოლო ფინალში კიდევ ერთ ჩრდილოელ მეზობელ ალან ხუბეცოვს აჯობა იპონით.

**გიორგი ბროლაშვილმა** (60ძ პირველ ორ წრეში შვეიცარიელი დანიელ რუფლი და თურქი ჰამზა აკაი დაჯაბნა, მერე თავად წააგო რუს ოთარ ბესტაევთან, სამაგიეროდ სანუგეშოში იყოჩაღა – ყაზახ რუსტემ იბრაევსა და აზერბაიჯანელ რასიმ ასადულაევს დააყრევინა ფარ-ხმალი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ასევე, მესამე ადგილზე გავიდა **ნინო ოქელაშვილი** (70ძ, რომელმაც დამამშვიდებელი ჯგუფის გადამწყვეტი ორთაბრძოლა მასპინძელ საიდა ბაირამს მოუგო.

◉ კალათბურთი

# ელიტის კონტურები



**უკვე გაუწყეთ, რომ დავით უსტიაშვილის გაწვრთნილი საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ბოსნიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონის მეორე ჯგუფურ რაუნდში გავიდა, სადაც საკმარისია ბულგარელ (დღესძ ან დანიელ (ხვალძ თანატოლებს ერთ-ერთი მატჩი მაინც მოუგოს და ნახევარფინალში ჩეხეთის, ბელგიის, პორტუგალიის ან მასპინძელთა გუნდს შეხვდება, იქ გამარჯვების შემთხვევაში კი „ა“ დივიზიონში აღზევდება.**

რაც შეეხება საწყისი ეტაპის დასკვნით ბრძოლას რუმინელებთან, ახალგაზრდა „ჯვაროსნებმა“ იგი დამატებით დროში დათმეს – 85:89 (ძირითადი დრო – 76:76ძ, თუმცა ამას ჩვენებურთათვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან მათ, მოგეხსენებათ, ზედიზედ ოთხი მოგებით ვადამდე გაინაღდეს ჯგუფში პირველი ადგილი, მეორეზე კი ესტონელები გავიდნენ.

კარპატელებთან თამაშში ათქულიანი ზღვარი შენგელიამ (22 ქულა, 11 მოხსნაძ, ლომოურმა (18 ქულაძ, დვალიშვილმა (13 ქულა, 11 მოხსნაძ და ბაქრაძემ (11 ქულაძ გადალახეს.

**გიორგი შოთაძე**

◉ ჭიდაობა

# ბუქარესტში – მსოფლიოს დასაპყრობად



**რუმინეთის დედაქალაქი ივლისის მიწურულს „კლასიკური“ და თავისუფალი სტილით ახალგაზრდა მოჭიდავეთა მსოფლიო პირველობებს უმასპინძლებს. „თავისუფალში“ საქართველოს ნაკრები შეჯიბრებაზე ასეთი შემადგენლობით გაემგზავრება: ლევან როჭიკაშვილი (50ძ, ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (55ძ, თენგიზ ჩოჩიშვილი (60ძ, დავით გალეგაშვილი (66), ბექა პეტრიაშვილი (74), დავით მარსაგიშვილი (84ძ, მამუკა კორძაია (96ძ და თედო ებანოიძე (120ძ.**

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავენი ვლახების ქვეყანაში ასეთი გუნდით ჩავლენ: ნიკა ცეცხლაძე (50ძ, ამირან შავაძე (55ძ, ქემალ ხარაბაძე (60ძ, საჩინო დავითაია (66ძ, ზურაბ დათუნაშვილი (74ძ, რევაზ ნადარეიშვილი (84ძ, სერგო დიხამინჯია (96ძ და შოთა გოგისვანიძე ( 120ძ.

◉ ინტერნეტიდან

## სეზონი გამარჯვებით დაიწყო

**ბელგიაში, ხოისდენ-ზოლდერის სტადიონზე გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ხანგრძლივი შესვენების შემდეგ გამოჩნდა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი და მრავალგზის მსოფლიო რეკორდსმენი ჭოკით ხტომაში ელენა ისინბაევა.**



ძალზე ცივ, წვიმიან და ქარიან ამინდში ელენამ 4 მეტრი და 60 სანტიმეტრიანი სიმაღლე გადალახა, თუმცა ეს შედეგი მის სარეკორდო მაჩვენებლებთან შედარებით, რომელიც 5 მეტრი და 5 სანტიმეტრიც კია, ძალზე დაბალია, მაგრამ მას გამარჯვება მაინც მოუტანა.

## დაწესდა ახალი პრიზი

**ევროპული ფეხბურთის თავკაცის – უეფას პრეზიდენტის მიშელ პლატინის ინიციატივითა და ევროპის სპორტული გამოცემების ასოციაციასთან (ESMძ თანამშრომლობით გადაწყდა, დაწესდეს ჯილდო ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის.**

2010-11 წლების სეზონის შედეგების მიხედვით ამ წოდების პრეტენდენტთა სია გამოცხადდება 25 ივლისს. ხოლო ჯილდოს გადაცემის ცერემონია გაიმართება 25 აგვისტოს მონაკოში, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრის ჩარჩოებში.

ჯილდო გადაეცემა საუკეთესო მოთამაშეს ეროვნების მიუხედავად, მთავარია მას ნათამაშები ჰქონდეს წინა კამპანია უეფას ერთ-ერთი ასოციაციის კლუბში.

ჟიური შედგება 53 ცნობილი სპორტული ჟურნალისტისგან, ყოველი მათგანი უეფას ერთ-ერთ ასოციაციას უნდა წარმოადგენდეს. თავიდან ყოველი ჟურნალისტი დაასახელებს, თავისი აზრით, საუკეთესო სამ ფეხბურთელს, პირველი ადგილისთვის, რომელსაც დაერიცხება 5 ქულა, მეორე ადგილისთვის – სამი, ხოლო მესამესთვის – ერთი. სამი ფეხბურთელი, ვინც ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს, გადავა მეორე ტურში,ჟურნალისტები ამ ტრიოდან აირჩევენ საუკეთესოს. მონაკოში ხმის მიცემა გაიმართება პირდაპირ ეთერში სპეციალური ელექტრონული სისტემის დახმარებით.

## ბიჭებს გოგონაც მიუმატეს

**ამ დღეებში მსოფლიომ დაინახა ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელის დევიდ ბექჰემისა და მისი ლამაზმანი ცოლის – ვიქტორიას ქალიშვილის ჰარპერ სევენის ფოტოსურათი. ის ვიქტორიამ გამოაქვეყნა შავ-თეთრი ვარიანტით. ფოტოზე სახელგანთქმულ ფეხბურთელს ხელში უჭირავს და ეფერება გოგონას. „პაწაწინა ჰარპერი ყველაზე ლამაზი გოგონაა, რომელიც როდესმე მინახავს. მე ისევ შეყვარებული ვარ!“** – წერს ვიქტორია პრესაში.

შაბათს ბექჰემ მინდორზე გამოვიდა ახალი ბუცებით, რომლებსაც ამშვენებს მათი შვილების სახელები – ბრუკლინი, რომეო, კრუსი და ჰარპერი.



ცოლ-ქმარი შეთანხმდა, რომ გოგონა მათი უკანასკნელი შვილი იქნება.

ჰარპერი ინგლისში გავრცელებული როგორც ქალის, ისე მამაკაცის სახელია. 2010 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ სახელმა 119-ე ადგილი დაიკავა ცნობილი სახელის სიაში, რაც შეეხება მეორე სახელს – სევენს – ანუ „შვიდს“ – ის იმიტომ აირჩიეს, რომ გოგონა დაიბადა მეშვიდე თვეში, დილის 7 საათის შემდეგ, მამამისი კი ფეხბურთს „მანჩესტერ იუნაიტედში“ სწორედ ამ ნომრით თამაშობდა.

◉ ჭადრაკი

# 300 ევრო იკმარა

**რეტიმნოში (საბერძნეთიძ გამართულ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის ორგანიზატორებმა პრიზად 8500 ევრო გამოყვეს, საიდანაც გამარჯვებულს 2200 ევრო შეხვდებოდა, ხოლო მეორე-მესამე ადგილებზე გასულთ – 1500 და 1000 ევრო. საგრძნობლად ნაკლები ფულადი ჯილდოები დააწესეს მშვენიერთა სქესისთვის – შესაბამისად, 500, 300 და 200 ევრო.**



შეჯიბრებაში ქართველი დიდოსტატი სოფიო გურამიშვილი მონაწილეობდა. მან 9 შესაძლებლიდან 6 ქულა მოაგროვა და მანდილოსნებში მე-2 ადგილი დაიკავა. მართალია, ამდენივე ქულას მოუყარა თავი ვიტა ჩულივსკამ (უკრაინაძ, მაგრამ ჩვენებურს უკეთესი კოეფიციენტით აჯობა. მესამე ადგილი ელიზა რაევას (ბულგარეთიძ ერგო.

ტურნირის მთავარი პრიზი იური კრივორუჩკომ (უკრაინაძ მოიპოვა. მეორე-მესამე ადგილები პეტერ პროჰაზკამ (უნგრეთიძ და დმიტრი სვეტუშკინმა (მოლდოვაძ გაინაწილეს. სამივე მონაწილემ ასპარეზობა 9 შესაძლებლიდან 7-7 ქულით დაასრულა.

**გივი გაგუა**

# ტაიმ-აუტის წინ

**ჩინეთის ქალაქ ხანჩჟოუში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო სუპერტურნირი 10 დიდოსტატის მონაწილეობით. მოასპარეზეთა შორისაა 2008 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული ნანა ძაგნიძე.**



პირველ ტურში იგი მსოფლიოს ამჟამინდელ ჩემპიონს ჰოუ იფანს (ჩინეთიძ დაუზავდა, შემდეგ ზედიზედ ორჯერ დამარცხდა იუ ვენძიუნთან (ჩინეთიძ და მარი სებაგთან (საფრანგეთიძ, მეოთხე ტურში ამჟამად ამერიკაში მცხოვრებ უკრაინელ ანა ზატონსკიხს სძლია, მერე კი ინდოელ ჰარიკა დრონავალთან გაიყო ქულა. მეხუთე ტურში ვენძიუნი ნადეჟდა კოსინცევას (რუსეთიძ შეუთანხმდა ყაიმზე. ასევე მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს ზატონსკიხი და ჩჟაო სიუ (ჩინეთიძ. ევროპის პირველობის ორგზის გამარჯვებულმა ტატიანა კოსინცევამ (რუსეთიძ ჰოუ იფანს აჯობა, მსოფლიოს ექსჩემპიონმა ჟუ ჩენმა (ყატარიძ მარი სებაგს მოუგო.

ხუთი ტურის შემდეგ ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: ვენძიუნი – 4, დები – ნადეჟდა და ტატიანა კოსინცევები – 3-3, დრონავალი, ჰოუ იფანი, ჩჟაო სიუ – 2,5-2,5, ძაგნიძე, სებაგი, ჟუ ჩენი – 2-2, ზატონსკიხი – 1,5 ქულა.

შეჯიბრების მონაწილენი გუშინ ისვენებდნენ. დღეს ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ძაგნიძე – ჩჟაო სიუ, ნ. კოსინცევა – ზატონსკიხი, ჰოუ იფანი – ვენძიუნი, სებაგი – ტ. კოსინცევა, დრონავალი – ჟუ ჩენი.

**ლაშა დიდია**

◉ სკანდალი

# ქალთა ფეხბურთის საწინააღმდეგოდ

**სწორედ ქალთა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში, გერმანიაში რომ მიმდინარეობდა, ირანში დააპატიმრეს ბლოგერი და მსახიობი ქალი პეგან აჰანგარანი, პროპაგანდას რომ უწევდა ქალთა შორის ფეხბურთის განვითარებას.**



აჰანგარანის 4-იდან 12 ივლისამდე მსოფლიო ჩემპიონატზე მიღებული შთაბეჭდილებები უნდა გაეზიარებინა გულშემატკივრებისთვის, რათა ამით შეევსო ქალთა ფეხბურთზე ირანში ინფორმაციის ნაკლებობა. მისი თქმით, სახელმწიფო ტელევიზია ქალთა ფეხბურთს არ აჩვენებს, ბეჭდური მასმედია კი მას საერთოდ არ აქცევს ყურადღებას. ჩემპიონატზე გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე, როგორც იტყობინებიან, ირანის ინფორმაციის სამინისტრო დაჟინებით ურჩევდა მას, უარი ეთქვა ამ მოგზაურობაზე, შემდეგ კი დაპატიმრებითაც დაემუქრა, ბოლოს კი გადაწყვიტეს, უარი ეთქვათ ბლოგზე.თუმცა მალე აჰანგარინი გაქრა.

უნდა შეგახსენოთ, რომ წინა თვის დასაწყისში ფეხბურთში ირანის ქალთა ნაკრები არ დაუშვეს ლონდონში ოლიმპიურ შესარჩევ მატჩზე იორდანიის წინააღმდეგ. ამის მიზეზი კი გახდა ის, რომ ირანელ ფეხბურთელ ქალებს შარიათის წესისამებრ უნდა ეთამაშათ თავსა და ყურებზე მოსახვევწამოხურებულებს, რის გაკეთების უფლება მათ არ მისცა ბაჰრეინელმა მსაჯმა, რაც მოიწონა ფიფამაც. რეგლამენტის წესდება ხომ მოითხოვს, რომ მოთამაშის ეკიპირება არანაირად არ უნდა მიუთითებდეს რაიმე რწმენაზე, მათ შორის რელიგიურზეც. საბოლოოდ კი, ირანის ქალთა გუნდს, ფეხბურთის ადგილობრივი ხელისუფლების პროტესტის მიუხედავად, წაგება ჩაეთვალა.

## ⊙ საზოგადოება და ქალი

# „...ამას მხოლოდ მამაზეციერის სიყვარულით ვაკეთებ...“

**დედაზე პატივსაცემი და საყვარელი ადამიანი კაცის ცხოვრებაში არავინ არის, მაგრამ გამორჩეულები დედებს შორისაც არიან.**

**დედამიწაზე ყველაზე დიდად პატივსაცემი დედაა ღვთისმშობელი. თუკი დანარჩენი დედების უმთავრესი ადგილსამყოფელია სამზარეულო, მარიამ ღვთისმშობელს მთელს დედამიწაზე უამრავი სახლი აქვს. მისი მადლიანი მფარველობის ქვეშაა იბერია (საქართველო), ათონის წმინდა მთა, კიევო-პეჩორის ლავრა, სერაფიმო-დივეევის მონასტერი, ბევრი სხვა.**



გაბედულმა რუმინელმა ქალმა ადრიანა ილიესკუმ მსოფლიო საზოგადოებრიობისა და, ალბათ, საკუთარი თავისთვისაც მოულოდნელად, 66 წლისა და 230 დღის ასაკში... ქალიშვილი გააჩინა. იგი მთელი ცხოვრების მანძილზე ცდილობდა დაფეხმძიმებას, 10 წლის განმავლობაში ექიმების ყველა უმკაცრეს დანიშნულებას ასრულებდა და, ბოლოს, დედაბუნებამ მისთვის მოწყალება გაიღო...

მწერალ ჯოან როულინგის „წიგნის“ შვილმა ჰარი პოტერმა „დედილო“ მილიონერი გახადა. თუმცა კი თავდაპირველად ჯოანს ძალიან უჭირდა: ხელნაწერი თორმეტმა გამომცემლობამ უარყო, მეცამეტემ კი ავტორს წიგნის ყდაზე... საკუთარი გვარისა და სახელის დაწერა აუკრძალა, რათა მოზარდი ბიჭუნები არ „დაეფრთხო“. სამაგიეროდ დღესდღეობით ჯოან როულინგი „ფორბსის“ მილიარდერთა სიაშია, იგი წუთში 77 გირვანქა სტერლინგით მდიდრდება.



როცა მოწყალების ორდენის დამაარსებელი ლეგენდარული მონაზონი დედა ტერეზა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა იმ დროს ნახა, როცა იგი საშინელ იარებს კეთრით დაავადებულ ინდოელ ბავშვებს ბანდა, მან ალალად წამოიძახა – ამას მილიონ დოლარადაც ვერ გავაკეთებდიო. – ამას ფულის გულისთვის მეც ვერ ვიზამდი, – უპასუხა მონაზონმა. – ამას მხოლოდ უფასოდ, მხოლოდ მამაზეციერის სიყვარულით ვაკეთებ, – დასძინა წმინდანად შერაცხულმა დედა ტერეზამ.



დედა-დედოფალმა ელისაბედმა ეს ორიგინალური ტიტული თავის დროზე თავისივე ქალიშვილისგან, მოქმედი დედოფლისგან ელისაბედ მეორისგან განსასხვავებლად მიიღო. დედა-დედოფალი მთელ ინგლისს ძალიან უყვარდა, განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა მას შვილიშვილ ჩარლზთან ჰქონდა. მან 101 წელი იცოცხლა და მთელი ცხოვრების მანძილზე სამეფო ოჯახის ბურჯად რჩებოდა, არადა, მას მენჯის ორი გადანერგილი სახსარი ჰქონდა!



გლეხის ქალი ვასილიევა გინესის რეკორდების წიგნში როგორც მსოფლიოში ყველაზე მრავალშვილიანი დედაა შესული. მე-18 საუკუნეში, ეკატერინე დიდის მეფობის დროს, მან 69 შვილი გააჩინა. მისი სახელი კი შთამომავლობისთვის უცნობი დარჩა.



მსოფლიოში, ალბათ, ყველაზე ტრაგიკული დედა ნინელ ოვეჩკინაზე ითქმის. იგი ირკუსტიკიდან ლენინგრადში ათ შვილთან ერთად გაფრინდა, რომელთათვის მდიდრული, „საზღვარგარეთული“ ცხოვრების მოწყობა უნდოდა... თვითმფრინავის გატაცების მცდელობა სისხლიანი ტრაგედიით დასრულდა – დაიღუპა ნინელის რამდენიმე შვილი და ეკიპაჟის ყველა წევრი. მისივე თხოვნით ქალი ვაჟიშვილმა მოკლა იარაღით.



ლეგენდით „დედა-ოდესა“, შავი ზღვისპირეთის ამ ულამაზეს ქალაქს, საბჭოთა დროში მაშინდელ საბჭოთა კავშირში ბანკის ყველაზე გრანდიოზული გაძარცვის გამო შეარქვეს მას შემდეგ, რაც ვილაცამ „დამნაშავეთა სამყაროს დედა“ უწოდა. ისე კი ოდესამ მზესუმზირითა და კიბორჩხალებით იმდენი ბავშვი გაზარდა, რომ ეს სახელი მართლაც ზედგამოჭრილია ქალაქზე, რომელიც 1 სექტემბერს, არაოფიციალურად, დამსვენებელთაგან განთავისუფლებას ზეიმობს.



შვედური ანსამბლის „აბბას“ სიმღერების საფუძველზე შექმნილ მიუზიკლ „მამა მიას“ მსოფლიოში ყოველდღიურად 18 ათასი კაცი ნახულობს. იგი არა მარტო ორიგინალური მუსიკის, არამედ დედებისთვის სასიამოვნო სიუჟეტის წყალობითაცაა პოპულარული: ქალიშვილის გათხოვებისას დედას კვლავ უყვარდა ერთ-ერთი ძველი სატრფო. მოკლედ, ნაღდი „მამა მიაა!“



გამორჩეული დედები არც ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს აკლია. მაგალითად – გუგული, რომლის სახელს ცუდ დედებს უწოდებენ, სინამდვილეში არც ისე წყალწაღებულია. მართალია, კვერცხებს იგი სხვა ფრინველთა ბუდეებში დებს, თანაც მისი ბარტყები „კანონიერ მეპატრონეებს“ ბუდეებიდან აგდებენ, რის გამოც ზოგიერთი სხვა სახეობის ფრინველი ზაფხულში ერთი საკუთარი ბარტყის გამოჩეკასაც ვერ ახერხებს, სამაგიეროდ ისინი საზიზღარ ბალნიან მუხლუხოებს ანადგურებენ, რომლებსაც სხვა ფრინველები ვერ ყლაპავენ.



კენგურუ შეიძლება ცალ ხელში აყვანილი ბავშვით და მეორეში ხელჩანთით აქლოშინებულ საშუალო სტატისტიკური დედის სიმბოლოდ წარმოვიდგინოთ. ისე კი, მართლაც, კენგურუსავით თავდადებული ნეტა ყველა დედა იყოს! პატარა კენგურუ ნეკა თითისხელა იბადება, დედა კი მას ჩანთაში შესასვლელამდე გზას ლოკვით უკვალავს. დედა-კენგურუ ოთხი სახეობის რძეს (!ძ გამოიმუშავებს პატარის ასაკისდა მიხედვით და მას მთელი წელი გულმოდგინედ უვლის.



---



დედა თინა აბულაძე, მეუღლე ლელა გამყრელიძე, შვილები ლევან, თიკო გაბრიჩიძეები, სიძე ვახტანგ ვასაძე, სიდედრი დალილა შარვაშიძე, და ნანული გაბრიჩიძე, დისწულები ნანა, გიორგი ჭანტურიძეები, სიძეები ვახტანგ ჭანტურიძე, გიორგი კუჭუხიძე, ცოლისდა ლალი გამყრელიძე, რძალი ნატა ჭანტურიძე, მძახლები შორენა, ტარიელ ვასაძეები, უახლოესი ნათესავები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნუგზარ გაბრიჩიძე

პანაშვიდი 21, 22 VII, 17 სთ. მისამართი: ქანთარიას №8 (ყოფილი გაგარინის II შესახვევი). გამოსვენება 23 VII, 15 სთ. საბურთალოს ამაღლების სახელობის ეკლესიიდან.

---

მაია, გურამ ახალაიები ოჯახით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უკეთილშობილესი ადამიანი

ნუგზარ გაბრიჩიძე

მისი სახელი ამიერიდან ტკივილიან მოგონებებს აღძრავს მის უახლოეს მეგობრებსა და ახლობლებში, ამასთანავე, საუკეთესო ვაჟკაცური ზნეობისა და მაღალი კულტურის ეტალონად დარჩება ყოველთვის.

ის მადლი და სიკეთე კი, რაც ბატონ ნუგზარს უკეთებია ცხოვრების განმავლობაში, გზის მანათობელი იქნება მისი საფიცარი შვილებისთვის, რომლებიც მუდამ თავაწეულნი ივლიან ღირსეული მამის სახელით გაამაყებულნი.

---

მანანა, დემურ მიქაძეები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ უახლოესი მეგობარი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, კაცურკაცობის ეტალონი, დიდი მამულიშვილი

ნუგზარ გაბრიჩიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

გოდერძი ბუკიას ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება

ნუგზარ გაბრიჩიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ნათესავებს და ახლობლებს.

---

თენგიზ, ქეთინო ქავთარაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის

ნუგზარ გაბრიჩიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია დიდი მწუხარებით იუწყება, რომ უბედური შემთხვევის შედეგად მოულოდნელად გარდაიცვალა თანამედროვე საქართველოს მართლააც ერთ-ერთი გამორჩეული მამულიშვილი და მოქალაქე, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, ჩვენი რედაქციის ძველი მეგობარი და ავტორი

ნუგზარ გაბრიჩიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

---

ნელი, ნინო ბეჟიტაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უსაყვარლესი ბიძაშვილის

ლეილა ბეჟიტაშვილი-ბერიძის

გარდაცვალების გამო.



---

ფრიდონ ინჯია ოჯახით თანაუგრძნობს სოფიო მუმლაძეს მამის

გურამ მუმლაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებს.

---

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ⊙ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: იქნებ აგვიხსნათ, არის თუ არა კანონით დასაშვები სამუშაო დროის შეჯამებული აღირცხვა და თუ დასაშვებია, რა შემთხვევაში?**

**იონა მოდებაძე**

**პასუხი:** სამუშაო დროის შეჯამებული აღრიცხვის წესის შემოღება, სამუშაოს პირობების გათვალისწინებით დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია ყოველდღიური ან ყოველკვარტალური სამუშაო დროის ხანგრძლივობის დაცვა.

* * *

**კითხვა: რა შემთხვევაშია ვალდებული დასაქმებული შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურებით და ანაზღაურების გარეშე?**

**ოთარ სიჭინავა**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო:

– სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ან მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის – ანაზღაურების გარეშე, ხოლო – საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად ან მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის – სათანადო ანაზღაურებით.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 299-62-77.**

## ⊙ ინფორმაცია

### ანკარაში, საცირკო წარმოდგენისას ქართველი აკრობატი დაიღუპა

**თურქეთში** საქართველოს 36 წლის მოქალაქე გარდაიცვალა.

ირაკლი ბაღათურია ცირკ „შაპიტოს“ თანამშრომელი იყო. ანკარაში, ერთ-ერთი საცირკო წარმოდგენისას ის სიმაღლიდან ჩამოვარდა, რის შედეგადაც ადგილზე გარდაიცვალა.

დაღუპული აბაშის რაიონიდან იყო. ირაკლი ბაღათურიას ცხედარი სამშობლოში უკვე გადმოსვენებულია.

### თბილისში 40-მდე გველი დაიჭირეს

**მხოლოდ** ივლისის თვეში თბილისში 40-მდე გველი დაიჭირეს.

ქვეწარმავლებთან ბრძოლის სამსახურის უფროსის გურამ წიკლაურის განცხადებით, მიმდინარე თვეს სულ 83 გამოძახება აღირიცხა.

მისივე თქმით, დედაქალაქში სულ რამდენიმე სახეობის გველია დაფიქსირირებული, თუმცა მათგან შხამიანი არც ერთი არ არის.

აღნიშნულის მიუხედავად, სპეციალისტები გართულებების თავიდან ასაცილებლად, დაგესვლის შემთხვევაში პაციენტებს ექიმთან კონსულტაციას ურჩევენ.

### 62 წლის ქალის ცხედარი იპოვნეს

**თეთრიწყაროს** რაიონში წყალდიდობის შედეგად დაღუპული 62 წლის ქსენია შერვაშიძის ცხედარი ნაპოვნია

ერთკვირიანი სამძებრო სამუშაოების შემდეგ მაშველებმა გარდაცვლილის ცხედარი იპოვეს.

შერვაშიძე ძლიერი წვიმების შედეგად მოვარდნილმა დიდმა წყალმა სოფელ სამღერეთთან გაიტაცა. ის ამ დროს მანქანაში 4 ნათესავთან ერთად იმყოფებოდა. დანარჩენებმა მოასწრეს მანქანიდან გადმოსვლა და გადარჩნენ, ქსენია შერვაშიძე კი წყალმა გაიტაცა.

ჯი-ეიჩ-ენი

## დაიჯესტი

### „სოლიდური“ რედკოლეგია

**იტალიის ერთ-ერთი სპირიტული ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში შვიდ ცოცხალ წევრთან ერთად ასევე შეყვანილია რვა მიცვალებული.**

„რედკოლეგიის წევრთა“ შორის არიან შექსპირი, დანტე და სხვები. აღსანიშნავია, რომ რედკოლეგიის წევრი „დანტეს სული“ ჟურნალის მოწინავე სტატიებს წერს.

### გველი როგორი გნებავთ – შხამიანიც და „ჩვეულებრივიც“...

**იაპონიის სამასზე მეტ რესტორანს თავის მენიუში ყოველთვის აქვს გველის ხორცის ნაირ-ნაირი კერძები – მოხარშული, შემწვარი, უმიც კი!**



ამ უკანასკნელების ყველაზე ფასეული კომპონენტია სისხლი, რომელიც, იაპონელთა მტკიცებით, ვიტამინებითაა მდიდარი და „ხანგრძლივი ცხოვრების ელექსირად“ ითვლება. ტოკიოში კი სამი რესტორანია, სადაც მენიუში მხოლოდ გველების ხორცისგან დამზადებული საჭმელებია. ყოველწლიურად იაპონიაში დაახლოებით 200 ათას შხამიან და მილიონზე მეტ უშხამო გველს მიირთმევენ.

### რა ამბავია ამდენი ძაღლი და კატა?

**ამერიკელებმა დათვალეს – ყოველ საათში მათთან 450 კაცი იბადება. ამავე დროს ამ ქვეყნად ჩნდება 10 ათასი ძაღლი და კატა, ანუ თითოეულ ახალშობილზე 22 ცხოველი მოდის, რაც მოთხოვნილებაზე აშკარად მეტია.**



ამერიკის ფარმაცევტული კომპანიები ცდილობენ ძაღლებისა და კატებისთვის ჩასახვის საწინააღმდეგო, იაფიანი და გვერდითი მოვლენების არამქონე საშუალების გამოგონებას. ძაღლებისთვის უკვე შექმნილია აბები, რომლებსაც ჩასახვის პროცესის ნეიტრალიზება შეუძლია.

რაც შეეხება კატებს, აქ საქმეს ის გარემოება ართულებს, რომ მათ ჰორმონალურ ციკლს რითმული ხასიათი არა აქვს.

### უქუსლო ფეხსაცმელი კარგია, ოღონდ დროდადრო

**სახლში უქუსლო ფეხსაცმლის ყოველდღიურ ტარებას ფეხის ტერფის, ბარძაყისა და წვივის ტკივილის გამოწვევა შეუძლია.**

რაც უფრო მჭიდროდ ეკვრის თქვენი ფეხსაცმელი ტერფის ზედაპირს, მით უკეთესია ფეხისთვის. ხოლო თუკი ტერფი მოდუნებულია, ფეხის კუნთებს დამატებითი დატვირთვა აწვება, – აცხადებენ ამერიკელი ექიმები. თქვენ შეგიძლიათ კვლავინდებურად ატაროთ უქუსლო ღია ფეხსაცმელი პლაჟსა თუ აუზთან. ეს თქვენს ფეხებს დაასვენებს, თუმცა გამუდმებით მათ ჩაცმას სპეციალისტები არ გვირჩევენ.



### რა როდის უნდა ითხოვოთ

**სოციოლოგებმა გამოითვალეს, რომ ხელფასის მომატების თხოვნით უფროსს უმჯობესია დღის პირველ საათზე მიმართოთ.** ქალბატონებისთვის კი, მამაკაცებისთვის დახმარების თხოვნით მიმართვისთვის ყველაზე ხელსაყრელი დრო, მათივე აზრით, საღამოს 6 საათია.

### კარგ გუნებაზე დამყენებელი პური

**მეცნიერთა საერთაშორისო გუნდმა ხასიათზე მომყვანი... პურის რეცეპტი შეიმუშავა. სამუშაო ერთობლივად ამერიკელმა, ინდოელმა და რუსეთელმა მეცნიერებმა შეასრულეს. ახალი რეცეპტურის შემქმნელებმა პურს დაუმატეს ქაცვისგან მიღებული ჰორმონი სეროტონინი. აღმოჩნდა, რომ სიხარულის ჰორმონის სეროტონინის ნაკლებლობა ადამიანებში დეპრესიას იწვევს.**

თავდაპირველად ანტიდეპრესანტ პურს იაპონიის მაღაზიების დახლებზე გამოიტანენ, შემდგომ მას ინდოეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გაყიდიან, რუსეთელი მომხმარებელი კი მას, უკეთეს შემთხვევაში 2013 წელს მიიღებს იმ მიზეზით, რომ „სამომხმარებლო ბაზარი ამ სახეობის პროდუქტის მისაღებად მზად არ არის“.

### ღვინო, ჭაჭა და... თაფლი – საუკეთესო „შესანახები“

**კაცმა არ იცის, ვინ და სად ამოიყვანა ყველი პირველად. ცხადია, რომ ამის შესახებ არც საქართველოში იცის ვინმემ ისევე, როგორც არავინ იცის, თუ რამდენი სახეობის ყველი არსებობდა ჩვენში, რამდენის რეცეპტი სადღეისოდ დაკარგულია.** არადა, ბევრმა შეიძლება არც იცოდეს, რომ ახლა „მარკეტებად“ მონათლულ უწინდელ „გასტრონომებში“ მხოლოდ სულუგუნი, იმერული, ე.წ. „ქარხნისა“ და უცხოური წარმოების ყველი რომ იყიდება, ჩვენში ოდითგანვე გავრცელებული იყო ქართული ოზიანი ყველი, გოყრინი და დამბალი ხაჭო, მოთალი შორა, ჩეჩილი, იაყინ კალტი, ტენილი, მწვანე დათხურ-ხავიწი და მრავალი სხვა, რომელიც სხვადასხვა მხარეში იყო პოპულარული.



ასევე ბევრმა შესაძლოა არ იცოდეს, რომ ჩვენი წინაპრები სულუგუნს... ღვინოში, ჭაჭასა და... თაფლში ინახავდნენ, ესე იგი, „აბერებდნენ“.

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● XIX საუკუნის შუა წლებში ლონდონში ჩატარდა სოციოლოგიური გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო იმის დადგენა, თუ რა საფრთხე დაემუქრებოდა ბრიტანეთის დედაქალაქს უახლოესი ასი წლის განმავლობაში – ლონდონელთა უმრავლესობა შიშობდა, რომ დედაქალაქი ცხენის ნაკელით აივსებოდა.

● XVIII საუკუნეში გერმანელ არისტოკრატებში პოპულარული იყო ე.წ. „ხის ბიბლიოთეკები“. „წიგნებად“ გამოიყენებოდა ხის ყუთი, რომელიც გარკვეული ჯიშის ხის მერქნით იყო მოპირკეთებული, ხოლო მასში ამავე ხის ნაყოფის თესლის მერქნის ნახერხი და ხის აღწერილობა იდო.

● სალივას ტომის ინდიელები ქალს ქმრის ღალატისთვის სცემენ, თუკი მას ტყუპი შვილი უჩნდება.

● ჩინეთის კედელს მსოფლიოში ყველაზე დიდ სასაფლაოს უწოდებენ, რადგან მისმა მშენებლობამ უამრავი ხალხი შეიწირა. კედლის სიგრძე 6500 კმ-ია.

● იაპონიის ქალაქ მაცუსიროში არსებობს სასტუმრო, რომლის დირექცია დამსვენებლებს უფასო ლუდით უმასპინძლდება, თუკი მათი სასტუმროში ყოფნის განმავლობაში სამჯერ მოხდება მიწისძვრა. თუ სტიქია ოთხჯერ განმეორდა, სასტუმრო 5 პროცენტით ამცირებს გადასახადს, ხოლო თუ მობინადრეები სასტუმროში ყოფნის დროს ხუთჯერ იგრძნობენ მიწისქვეშა ბიძგებს, გადახდილ თანხას მთლიანად უბრუნებენ დამსვენებლებს.

● ჩვეულებრივ ადამიანს ნათლობის გარდა სიცოცხლის განმავლობაში მირონს აღარ სცხებენ, ხოლო მეფეების ხვედრია მირონის მეორეჯერ ცხება.

● ის აზრის გადმოცემის ძირითადი საშუალებაა და რაც მეტად გამოავლენს ამ საშუალებას, მით მაღალია ადამიანის ავტორიტეტი, მაგრამ მისი სხვისთვის ჩვენება შეურაცხმყოფელია, რადგანაც ეს ენის გამოყოფაა.

● დღეს სიკვდილმისჯილები სიცოცხლეს ელექტროსკამზე ამთავრებენ. თავის დროზე ინდოელი მაჰარაჯებიც სჯიდნენ დამნაშავეებს, ოღონდ სულ სხვა მეთოდით. ამ ადამიანებს თავიანთთვის სასარგებლო საქმისთვის იყენებდნენ, რომელიც აუცილებლად სიკვდილით მთავრდებოდა – ისინი ზვიგენების მსხვერპლი ხდებოდნენ, რადგანაც სიკვდილმისჯილებს მაჰარაჯები მარგალიტების მოსაპოვებლად იყენებდნენ.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6651 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4176 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6790 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9888 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.5141 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1163 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.0886 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0309 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5764 ლარი |

### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +21 – +34 |
| ქუთაისი. | +21 – +31 |
| ბათუმი. | +22 – +29 |
| ზუგდიდი. | +22 – +31 |
| თელავი. | +22 – +32 |

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

– რა არის საერთო დეპუტატებსა და ბავშვის პამპერსებს შორის?

– ერთიც და მეორეც რაც შეიძლება ხშირად უნდა შეიცვალოს. თანაც ერთი და იმავე მიზეზით!

* * *

– ექიმო, ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ოპერაცია კარგად დამთავრდება.

– ასე ძალიან ნუ ნერვიულობთ... ცუდ დასასრულს თქვენ, უბრალოდ, ვერ შეიტყობთ!

* * *

– თქვენთან დაიწყო მუშაობა ჩემმა ყოფილმა პირადმა მდივანმა?



– კი. მაგრამ ნუ ინერვიულებ. ცოტა რამე თუ გვჯერა იმ ყველაფრისგან, რასაც იგი შენზე გვიყვება.

* * *

– მე გთხოვეთ ჩემი განკარგულების ისეთ ადგილას გამოკვრა, სადაც მას ყველა შეამჩნევდა, – ეუბნება დირექტორი თანამშრომელს.

– მასეც მოვიქეცი. ისე მოხერხებულად მივაწებე იგი უკანალზე თქვენს პირად მდივანს, რომ მას არაფერი უგრძვნია.

* * *

ამბობენ, რომ ქალს უნდა ჰყავდეს მამაკაცი, რომელიც მის ცხოვრებას ზღაპრად აქცევს. ღმერთო, ვინ იცის, როგორ მომაბეზრეს თავი ამ მეზღაპრეებმა...

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24